CIAN MAGENTA YALLOW BLACK

ალია

№24/2954/ 18 თებერვალი 2014 წ ფასი 70 თ

ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

# „გუდვილის“ გაკოტრების მიზეზი არასწორი მენეჯმენტია

## გოგი თოფაძეზე გამოძიების დაწყებას მოითხოვენ

რა განუცხადა დეპუტატმა „ალიას“



## თეატრალურის ახლად არჩეული რექტორის საქმეს პროკურატურა იძიებს?



ექსკლუზივი

## სად და რატომ გაუჩინარდა ირაკლი შიხიაშვილი?



ექსკლუზივი

## „რესპუბლიკურ პარტიაში“ განხეთქილება დაიწყო?



# რატომ შეაშინა „ნაციონალები“ მერაბიშვილისთვის 5-წლიანი სასჯელის გამოცხადებამ?



ექსკლუზივი

## რისთვის შეხვდა გიგა ბოკერია „ლიბერთი ბანკის“ შეფს „შერატონში“?



# რა სიურპრიზი მოუწყო უსუფაშვილმა არასაპარლამენტო ოპოზიციას?



ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ჯეოსელში“ საგამოძიებო მოქმედებები გრძელდება

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური კომპანია „ჯეოსელში“ მიმდინარე გამოძიების დეტალებს ჯერჯერობით არ ახმაურებს. კომპანიაში საგამოძიებო სამსახური სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის საფუძველზე დაწყებული ძიების ფარგლებში შევიდა, რაც დიდი ოდენობით გადასახადებისგან თავის არიდებას გულისხმობს. (ფრონტნიუსი)

## მამა გაბრიელის საფლავზე მისვლა ფეხით მოგიწევთ



მამა გაბრიელის საფლავი, სავარაუდოდ, შაბათს, 22 თებერვალს გაიხსნება.

„ამ კვირაში, კვირის ბოლოს დაგეგმილია მამა გაბრიელის საფლავის გახსნა, ვესაუბრე უწმინდესს და სავარაუდოდ, შაბათს გაიხსნება. ყველა იმ ადამიანს, ვისაც უნდა მიახლება მის წმინდა ნაწილებთან, შეეძლება იმ დროიდან, რომ მივიდეს და მიიღოს ლოცვა-კურთხევა. თქვენ იცით, როგორი ცხოვრებით ცხოვრობდა მამა გაბრიელი. უმეტესობას, თანამედროვეებს ასე ვთქვათ, სულელი და გიჟი ეგონა და ხალხისგან შერისხული უფალმა როგორ განადიდა, კარგად ხედავთ. ამიტომ, ბევრი რამ ადამიანისთვის ყოველთვის დაფარულია. პირდაპირ არ ჩანს ხოლმე, ვინ ვინ არის“, – განაცხადა მეუფე იაკობმა.

მისივე თქმით, ამ დღეს ძალიან ბევრი ხალხი იქნება, ამიტომ სახელმწიფო დაეხმარება მათ და იმის გამო, რომ მომლოცველებს ხელი არ შეეშალოთ, გარკვეული ტერიტორია გადაკეტილი იქნება და მომლოცველებს საფლავზე მისვლა ფეხით მოუწევთ. (ფრონტნიუსი)

## ბესელია დეპუტატების დაჯარიმებას ითხოვს

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია იმ დეპუტატების დაჯარიმებას ითხოვს, რომლებიც კომიტეტის სხდომებს გაურკვეველი მიზეზებით აცდენენ.

„უკვე მერამდენე შემთხვევაა, უმცირესობის წარმომადგენლები კომიტეტის სხდომას არ ესწრებიან. როცა სხდომას ვხსნი, განსაკუთრებით ვაქცევ ყურადღებას და ვკითხულობ უმცირესობის გამოუცხადებლობის მიზეზებს. მომდის შეტყობინებები, რომ ისინი ხშირად ოჯახური პირობებისა და მოუცლელობის გამო არ მოდიან კომიტეტის სხდომაზე. ეს არ არის ის გარემოება, რომ პარლამენტმა მსგავსი შემთხვევები საპატიოდ მიიჩნიოს. იმედი მაქვს, საპროცედურო საკითხთა კომიტეტი დაკავდება ამ საკითხით და იმ დეპუტატების მიმართ, რომლებიც სხდომებს არ ესწრებიან, შესაბამისი საჯარიმო სანქციები დაწესდება“, – აღნიშნა ბესელიამ. (ფრონტნიუსი)

## ხუდონჰესის აშენების მომხრე გამოკითხულთა 68,83%-ია




საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ საიტზე, „ფორუმ.ჯი“-ზე გამოკითხვა 1-ელ თებერვალს დაიწყო.

კითხვას – „ხართ თუ არა მომხრე, აშენდეს ხუდონი?“ 1000-ზე მეტმა ადამიანმა გასცა პასუხი.

გამოკითხულთა უმრავლესობა, კერძოდ 68,83 პროცენტი, ხუდონჰესის აშენების მომხრეა და მხოლოდ 31,17% – წინააღმდეგი.

1000-ზე მეტი კომენტარიდან, ისევე როგორც გამოკითხვის შედეგებში, ხუდონჰესის აშენების მომხრეთა პოზიციები სჭარბობს.

## მოსკოვში ქართველი კრიმინალური ავტორიტეტი დააკავეს



მოსკოვის სამხრეთ-დასავლეთით ე.წ კანონიერი ქურდი მირო ამადიანი დააკავეს, რომელიც კრიმინალურ წრეებში „მირონის“ მეტსახელით არის ცნობილი.

„30 წლის ამადიანი შსს-ს თანამშრომლებმა ნოვორიაზანსკის გზატკეცილზე დააკავეს. დოკუმენტების შემოწმებისას მან ყალბი პასპორტი წარადგინა. ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, ამადიანი დანაშაულებრივ ჯგუფებზე კონტროლს აწესებდა. ის მოსკოვის ტერიტორიაზე არალეგალურად იმყოფებოდა.

დაკავებულის მიმართ რუსეთის ფედერაციაში შესვლის წესების დარღვევისა და ქვეყნის ტერიტორიაზე უკანონოდ ყოფნის გამო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხი განიხილება. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



# კულუარები



## რატომ შეაშინა „ნაციონალები“ მერაბიშვილისთვის 5-წლიანი სასჯელის გამოცხადებამ?

ვანო მერაბიშვილს ქუთაისის საქალაქო სასამართლომ – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, (ეს მაშინ, როცა „ნაცები“ 5 წელს ძეხვის მოპარვისთვის უსჯიდნენ) ხოლო ზურაბ ჭიაბერაშვილს 50 ათასი ლარი ჯარიმის გადახდა დააკისრა. მერაბიშვილის საბოლოო სასჯელი მოსამართლე ნათია ბარბაქაძემ შემდეგნაირად განსაზღვრა: ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევისთვის (საქმე ეხება კვარიათში კერძო სახლის ჩამორთმევას) 3 წელი. თანხის მითვისება-გაფლანგვა: ერთ-ერთ ეპიზოდზე თავისუფლების 10 წლით აღკვეთა. გაფლანგვის კიდევ ერთ ეპიზოდში კი 4 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა. ამომრჩევლის მოსყიდვა – 2 წელი. გაფლანგვის ეპიზოდში მისჯილმა ყველაზე დიდმა სასჯელმა, რაც 10 წლით თავისუფლების აღკვეთას გულისხმობს, შთანთქა დანარჩენი ბრალდებები და მერაბიშვილს, საბოლოო ჯამში, 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, თუმცა მუხლს შეეხო ამნისტია და სასჯელი განახევრდა, რის შედეგადაც საბოლოო სასჯელად 5 წლით თავისუფლების აღკვეთა განისაზღვრა. მერაბიშვილს კიდევ ორ ეპიზოდში, 26 მაისის საქმეზე და სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე აქვს ბრალი წაყენებული.

რაც შეეხება ზურაბ ჭიაბერაშვილს, დაკვალიფიცირებული მუხლების შედეგად, მისი დანაშაული ნაკლებად მძიმე დანაშაულად მიიჩნია მოსამართლემ და 52 ათასი ლარის გადახდა შეუფარდა. თუმცა ბრალდების წარდგენისას ერთდღიანი პატიმრობის გამო, მოსამართლის გადაწყვეტილებით, ჭიაბერაშვილს 2 000 ლარი მოეხსნა და დაეკისრა 50 ათასი ლარის გადახდა. ჭიაბერაშვილს გადახდილი აქვს 20-ათასლარიანი გირაო, რომელიც მოსამართლის გადაწყვეტილებით, ასევე უკან დაუბრუნდება. შეგახსენებთ, რომ ზურაბ ჭიაბერაშვილს პროკურატურა სახელმწიფო ბიუჯეტიან 5 მილიონ 200 ათასი ლარის გაფლანგვას ედავებოდა. ასე რომ, ვინც ბიუჯეტს ისე იყურებს, როგორც საკუთარ საფულეს, ხელ-ფეხი გახსნილი აქვთ – მოიპარე 5 მილიონი, დააბრუნე 50 ათასი ლარი და თავისუფალი ხარ?!

უშიშროების ყოფილმა მდივანმა და „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა გიგა ბოკერიამ მერაბიშვილისთვის 5 წლით პატიმრობის მისჯაზე მუქარანარევი განცხადება გააკეთა. „ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება, რაზეც პასუხს აგებს დღევანდელი ხელისუფლება, ღარიბაშვილის მთავრობა და მათი დე ფაქტო მმართველი ივანიშვილი. ეს მათ დაუჯდებათ პოლიტიკურად ძალიან ძვირი, მაგრამ სამწუხაროდ, ქვეყანასაც დაუჯდება ძალიან ძვირი ამ პოლიტიკური კულტურის დანერგვა, როდესაც პოლიტიკურ ოპონენტებს, ოპოზიციის ლიდერებს, პოლიტიკური მოტივით სვამენ ციხეში“. – განაცხადა ბოკერიამ.

როგორც „ალიას“ სანდო წყარომ აცნობა, „ნაცმოძრაობის“ რიგებში მოსამართლის გადაწყვეტილების შემდეგ შიშმა დაისადგურა. რისი ეშინიათ „ნაციონალებს“?

„არ ვიცი, დააკვირდით თუ არა, მაგრამ ვანო მერაბიშვილმა სასამართლოში ერთ-ერთი დაკითხვისას რამდენჯერმე განაცხადა, მე არ ვიცი ეს ამბავი, თუმცა ვიცი, რომ იყოო. ამით მან პროკურატურას მისცა ნიშანი, რომ ფაქტი მოხდა, მე არ ვიყავი მონაწილე და ახლა გაარკვიეთ, ვინ იყო ორგანიზატორ-შემსრულებელიო. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ღარიბაშვილმა ან ბიძინა ივანიშვილმა არ იციან მათი დანაშაულების შესახებ, ძალიან ცდებიან. მათ ძალიან კარგად იციან მერაბიშვილის, ბოკერიას, ადეიშვილისა და სააკაშვილის დანაშაულების შესახებ, დეტალურადაც კი არიან საქმის კურსში და სწორედ ამიტომ იწვევს გაოცებას ის ფაქტი, რომ პროკურატურა ასეთი უსუსური აღმოჩნდა კეზერაშვილის საქმესთან მიმართებაში. აქ მხოლოდ პოლიტიკურ ნებაზე არ არის საუბარი, საბოტაჟს აქვს ადგილი პროკურატურის მხრიდან და თუნდაც პროკურორი ირაკლი დონდოლაძე არის საბოტაჟი, რომელიც საფრანგეთში იყო გაგზავნილი კეზერაშვილის საქმეზე. ვინც დონდოლაძე საფრანგეთში გაუშვა, ისიც ხომ საბოტაჟის ნაწილია? არ კითხულობენ, ვინ ვისთანაა კონტაქტში? რა უნდა მაგის დადგენას?“ – აცხადებს წყარო.

კიდევ ერთი პირი, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა, აცხადებს, რომ მერაბიშვილის პატიმრობას დაუყოვნებლივ მოჰყვება შედეგი და ეს იქნება დიდი ამბების „გახეთქვაც“, რადგან ვანო მერაბიშვილი ვეღარ გრძნობს მხარდაჭერას. „ჩაუშვებს“ თუ არა მერაბიშვილი სააკაშვილს, რომელსაც მინიშნებით რამდენჯერმე შეუთვალა, „მომხედეო“, ახლო მომავალში გამოჩნდება. „მას აიმედებდნენ, დადიოდნენ მის სასამართლო პროცესებზე, ამხნევებდნენ, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა, თუმცა რეალურად შედეგი რა დადგა, ვნახეთ. მერაბიშვილი უტვინო არ არის და თუ არა მან, ვინ იცის ყველაზე კარგად, რა „გადამგდები“ არიან მისი თანაგუნდელები. მისთვის პატიმრობის მისჯამ საბოლოოდ დაარწმუნა, რომ ის „დაიკიდეს“ და ის ამას არავინ აპატიებს. ძალიან მძიმე მდგომარეობაშია მისი ოჯახი, ახლობლები, რომელთა პატრონიც მხოლოდ მერაბიშვილი იყო, ამას კი ის არავის აპატიებს და ძალიან მალე ვნახავთ, როგორ გახდება ძალიან ბევრი საიდუმლო ფაქტი ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის. არ გამოვრიცხავ იმ სხდომების ფარული ჩანაწერებიც გასაჯაროვდეს, სადაც ადამიანების მკვლელობის შეკვეთაზეა საუბარი. ასეთ საუბრებს ყოველთვის იწერდნენ ფირზე და მისი ასლები მხოლოდ რამდენიმე კაცს ჰქონდა, მათ შორის მერაბიშვილს, რომელიც ახლა მისი ნდობით აღჭურვილ რამდენიმე კაცს აქვს“. – ამბობს წყარო.

გარდა ამისა, „ალიას“ წყარო დეტალებს ვერ უკონკრეტებს, მაგრამ აცხადებს, რომ გარდა ცნობილი 48 მილიონის საქმისა, პროკურატურაში უკვე გამზადებულია საქმე, რომელიც უგულავას კორუფციულ გარიგებებს ეხება, საუბარია 20 მილიონამდე ლარის გაფლანგვაზე. წყაროს თქმით, ამჯერად უგულავა გირაოს გადახდით თავს ვეღარ დაიძვრენს და მას დააპატიმრებენ.

რა ეტაპზეა მერაბიშვილის მიერ მოთხოვნილ ორ გვამზე ძიება? ამის გასარკვევად „ალია“ პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს თემურ დოლიძეს დაუკავშირდა, რომელმაც განგვიცხადა, რომ დეტალებს ვერ გვეტყვის, ვინაიდან საქმის კურსში არ არის, იმის დადასტურება კი შეუძლია, რომ საქმეზე ძიება აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

შორენა გოგოლაძე
599 22 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გორის დაბომბვისას გადარჩენილი ზაზა რაზმაძე უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა



16 თებერვალს, შუადღით, კარალეთის დევნილთა დასახლებაში 2008 წლის აგვისტოში დაბომბვისას გადარჩენილი ზაზა რაზმაძე უბედური შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა.

შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, კოტეჯის წინ ჯიხურის დადგმისას რკინის კონსტრუქცია სადენებს შეეხო და იმსხვერპლა. გარდაცვლილი გორის პროზექტურაში ექსპერტიზის ჩასატარებლად გადაიყვანეს.

„ზაზა რაზმაძეს, გორის ძველი ბაზრიდან, სადაც დედამისი მეორადი ტანსაცმლით ვაჭრობდა, რკინის ჯიხური კარალეთის დევნილთა დასახლებაში, საკუთარი კოტეჯის წინ გადაჰქონდა. კოტეჯის სიახლოვეს კი ახალი ბაზარი მდებარეობს. ძველი ბაზრის გაუქმების შემდეგ, მოვაჭრეების ნაწილი ახალ ბაზარში გადავიდა. თითოეულ მათგანს თავისი ნივთები ახალ ბაზარში გადააქვს. რაზმაძეებსაც სავაჭრო ჯიხური სპეციალური მანქანით ამწეთი გადაჰქონდათ. ის ამწეს ხელით ეხმარებოდა, რა დროსაც ძაბვა ჯიხურის კონსტრუქციებზე გადავიდა. ასე დაიღუპა 2008 წლის აგვისტოს დაბომბვისას გარდაცვლილი ზვიად რაზმაძის გადარჩენილი ძმა, რომელთა ფოტოსურათმა მსოფლიო მოიარა და საერთაშორისო პრიზი მიიღო.

რაზმაძეები ერედვიდან არიან დევნილები, მძიმე სოციალური ვითარება აქვთ, იმედს იტოვებენ, რომ სახელმწიფო შესაბამის დახმარებას გაუწევს“, – აღნიშნულია შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციაში. (ფრონტნიუსი)

## ეს ყოფილა ჩვენი „სამართლიანობის აღდგენა“?



მომღერალ სოფო ნიჟარაძის განცხადებით, „დამთავრდა ის პერიოდი, როდესაც იგნორირება ყველაზე კარგი საშუალება ეგონა“.

ასე ეხმაურება ნიჟარაძე „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე მედიაში გავრცელებულ იმ ინფორმაციას, რომლის თანახმად, შესაძლოა, მარინა ბერიძე, სტეფანე, კახა ცისკარიძე, ზუმბა და სოფო ნიჟარაძე დაკითხვაზე დაიბარონ და რომელშიც საუბარია, სააკაშვილისდროინდელ კორუფციულ სქემაზე.

„რა მარაზმია? ეს რა ხდება? რა ჰგონიათ, რომ ამდენი თანხები თუ იხარჯებოდა, მე სახლში მიმქონდა? ყველას გიწვევთ ჩემს სახლში, ვისაც არ გჯერათ და ნახავთ, რა მაქვს წაღებული! მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, არასდროს ჩემი ქვეყნის ჰიმნის შესრულებასა და ბევრ სხვა სადღესასწაულო კონცერტში ჰონორარი არ ამიღია, „ვერის უბნის მელოდიებისა“ და „ქეთო და კოტეს“ ჰონორარი იყო 500 ლარი, ხოლო რაც შეეხება ამ ბოლო საახალწლო კონცერტს, მისი ანაზღაურება იყო 1500 ლარი! კლიპები და საახალწლო კონცერტები ჩემთვის კი არა, ქვეყნის წინსვლისთვის, ჩვენი საერთო საქმისთვის, კულტურული ცხოვრების წინსვლისთვის კეთდებოდა და იქ მარტო მე არ ვყოფილვარ ჩართული, როგორც მონაწილე! თუ ასეთი ზღაპრების გჯერა, მაშინ მართლა რთულია პროგრესულობაზე ვილაპარაკოთ და ვიყოთ ასე, როგორც ვართ, ეს ყოფილა ჩვენი „სამართლიანობის აღდგენა“, მთავარია, რომ „თავისუფლად ვსუნთქავთ“ და ვინ რა სიცრუეში გვაცხოვრებს, რა მნიშვნელობა აქვს!“, – წერს ნიჟარაძე. (ფრონტნიუსი)



# რა სიურპრიზი მოუწყო უსუფაშვილმა არასაპარლამენტო ოპოზიციას?

17 თებერვალს იუსტიციის სახლში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, დავით უსუფაშვილი არასაპარლამენტო პარტიების ლიდერებს შეხვდა. შეხვედრა ნერვიული გარემოსა და უკმაყოფილების ფონზე წარიმართა. მანამდე კი გავრცელდა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივა საარჩევნო ბარიერის 50%-მდე გაზრდასთან დაკავშირებით. მისი გადაწყვეტილებით, ყველა თვითმმართველ ქალაქში მერები პირდაპირი გზით სწორედ 50%-იანი ბარიერით აირჩევა. ასევე, ქვეყნის მასშტაბით, ყველა მუნიციპალიტეტში გამგებლების არჩევაც 50%-იანი ბარიერის გადალახვის გზით მოხდება. ღარიბაშვილი კოალიციის ლიდერებს რამდენიმე დღის წინ შეხვდა და ისინი დაითანხმა, რომ ამ ინიციატივას მხარს დაუჭერენ. ბუნებრივია, საკითხის ასე დაყენებამ არასაპარლამენტოები გაახარა, მაგრამ იუსტიციის სახლში მისულებს დავით უსუფაშვილმა სხვა პრობლემა დაახვედრა.

**როგორც ყოფილი პარლამენტარი, ჯონდი ბაღათურია ამბობს „ალიასთან“ საუბარში, კოალიციის მორიგი სიურპრიზი საერთოდ დაშლის და გაანადგურებს არასაპარლამენტო ოპოზიციას, პოლიტიკურ ასპარეზზე დარჩებიან მხოლოდ „ოცნებისტები“ და „ნაციონალები“.**

**— ჯონდი, რა მოხდა ასეთი შეხვედრაზე, რომ ასე განერვიულდით?**

– შეხვედრა ჩვეულ კალაპოტში ვერ წარიმართა, ხელისუფლება საერთოდ მოუმზადებელი აღმოჩნდა ამ რეფორმისთვის.

**— აკი 17 თებერვალს ყველაფერი გაირკვევაო?**

– არაფერი არ გარკვეულა და მდგომარეობა უფრო დამძიმდა. მეტიც, ჩვენი იმედი საერთოდ გაქარწყლდა, რაც ჯერ კიდევ გვქონდა. არც ერთ საკითხზე უსუფაშვილს არ ჰქონდა პასუხი, გარდა იმისა, რომ 50 პროცენტამდე ასწიეს ბარიერი. თუმცა პარალელურად, ხალხის ზურგს უკან შეიტანეს ცვლილება, რომლის მიხედვითაც, მერობის ან გამგებლობის კანდიდატს აღარ ექნება უფლება, იყოს თავისი პარტიის სიის სათავეში და გაქაჩოს მთელი პარტია არჩევნებში.

**— ვერ გავიგე, საერთოდ გეკრძალებათ, რომ საკუთარი პარტიის სიაში იყოთ?**

– თუ მე მინდა, რომ ვიყო მერობის კანდიდატი, ამ შემთხვევაში საერთოდ არ უნდა გავეკარო პარტიულ სიას. მოდი, დავსვათ ახლა შეკითხვა და „ალიას“ საშუალებით ავუხსნათ ხალხს, რამ განაპირობა ასეთი გადაწყვეტილების მიღება? ჩვენ ისიც კი გვეკრძალება, რომ საერთოდ სიაში ჩავეწეროთ, აქ ლაპარაკი აღარ არის პირველ ნომერზე. ეს არის კონკურენციის შიში.

**— ამ ყველაფერს დავით უსუფაშვილი როგორ ხსნის?**

– ვერაფრით ვერ ხსნის, პარლამენტის თავმჯდომარე რეალურად იყო ჩიხში. შეკითხვები დავსვით და ვერანაირი განმარტება ვერ მივიღეთ. დგას და იძახის, ასე უნდა იყოსო, რატომ უნდა იყოს, რატომ არ შეიძლება, სიაში ჩავეწერო, ამაზე ვერ გვპასუხობს. ეს ჩვენ ხელს შეგვიშლის არა მხოლოდ თბილისში, არამედ რაიონებშიც, ადამიანები, რომლებიც პოპულარულები არიან და თანამდებობებზე კენჭს იყრიან, პარტიას ველარ გაქაჩავენ. კონკურენცია მაგათ ურეიტინგო ნარმანიას. ხვდები, რა გააკეთეს?

**— ვხვდები, ან თანამდებობა, ან პარტია.**

– ჩვენ რეალურად არ გვაძლევენ უფლებას, მერობისა და გამგებლობის კანდიდატები წარვადგინოთ. ძალიან მაგარი შიში აქვთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთ გადაწყვეტილებას არ მიიღებდნენ.

**— არასაპარლამენტო პარტიებიდან ამაზე ვინმე დასთანხმდა?**

– რა თქმა უნდა, არა, ამაზე ვინ დასთანხმდებოდა? ძალიან დაიძაბა სიტუაცია, ნამდვილად ვერ იყო კონსტრუქციული შეხვედრა. უკვე ჩაშლილია სიტუაცია, აღარაფერს აღარ აქვს აზრი.

**— ანუ მოლაპარაკებები აღარ იქნება?**

– თუ ასე დარჩა, ეს არჩევნები ლეგიტიმური არ იქნება. თვითონ 12 კაცი ჰყავთ საარჩევნო კომისიებში, ჩვენ 1 ადგილს ვითხოვდით და ამათ შემოაგდეს 50-პროცენტიანი ბარიერი და ამით გაანეიტრალეს ეს პრობლემა. ადრე კონკურენციისა ეშინოდათ და ბარიერის აწევაზე არ ფიქრობდნენ, მაგრამ ახლა სხვა რამე მოიგონეს, საერთოდ გზა ამოგვიკეტეს.

**— დავუშვათ, ჯონდი ბაღათურიას ძალიან მოუნდა მერობა და გადაწყვიტა, კენჭი იყაროს, რა უნდა გააკეთოს, პარტიას უნდა დაემშვიდობოს?**

– ამ შემთხვევაში აქ ხაფანგია დაგებული, მე ან უნდა ვიყო მერობის კანდიდატი, ან უარი უნდა ვთქვა პარტიაზე, რომელიც არჩევნებში ვერ აიღებს ხმების საკმაო რაოდენობას. შეიძლება ბარიერიც ვერ გადალახოს. მოკლედ, უნდა ჩავჯდე პარტიულ სიაში და ვერ უნდა გაუწიო ამაზეც უარი გვითხრეს. ასევე, უარი თქვეს უფასო სარეკლამო დროის მოცემაზე, რაც აქვს მხოლოდ „ოცნებას“ და „ნაციონალურ მოძრაობას“. ამ ორი ძალისთვის შეიქმნა იდეალური გარემო, დანარჩენ პარტიებს ანადგურებენ და მარგინალიზაციის გზაზე აყენებენ. თუ ეს „რესპუბლიკელებისა“ და „ნაციონალების“ თამაშია, მაშინ გამოდის, რომ საერთო ჯამში „ქართული ოცნება“ უსუსურია. მე არ ვფიქრობ, რომ ეს მხოლოდ „რესპუბლიკელების“ ინიცირებულია, მაგრამ არც ამას გამოვრიცხავ.

**— ინტერფრაქციული ჯგუფი დაიშლება?**

– ვერ გეტყვი... პრინციპში, ინტერფრაქციული ჯგუფი უკვე დაშლილია, ამ ფორმატის გაგრძელებას აზრი აღარ აქვს. რაკი ამ საკითხში ჩვენ მაინც ერთიანი პოზიცია გვაქვს, ორ დღეში შევხვდებით ვენეციის კომისიის წევრებს და ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

**— ესე იგი, ერთადერთ იმედად ვენეციის კომისიაღა გრჩებათ?**

– შეიძლება ასეც ითქვას, მაგრამ მე ოპტიმისტურად აღარ ვარ განწყობილი. მომხრე ვარ, რომ დავიწყოთ აქტიური მოქმედებები.

**— რას გულისხმობთ?**

– თუ პარტიები არ დადგნენ ერთად და არ მოითხოვეს რეალური ცვლილებები, მაშინ იგივე მოთხოვნები უნდა დადგეს ქუჩაში. თუ ხალხი არ გამოვიდა, ჩვენ ვერანაირ შედეგს ვერ მივიღებთ.

**გელა ზედელაშვილი**

555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რომელ პარტიას გულისხმობს ელჩი?



საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის რიჩარდ ნორლანდის განცხადებით, „არჩევნების შედეგად რომელიმე პარტიის განადგურება არ უნდა მოხდეს“. ამის შესახებ ნორლანდმა საქართველოში არსებული საარჩევნო გარემოს შეფასებისას განაცხადა.

„მნიშვნელოვანია, რომ უზრუნველყოფილი იყოს თანაბარი სათამაშო ველი. არჩევნების შედეგად არ უნდა მოხდეს რომელიმე პარტიის განადგურება, არამედ უნდა ჩამოყალიბდეს ძლიერი მმართველი და ძლიერი ოპოზიციური გუნდები“, – განაცხადა ნორლანდმა. (ფრონტნიუსი)

## ტაშკენტის ქუჩაზე საცურაო აუზის სახურავი ჩამოინგრა



ტაშკენტის ქუჩაზე არსებულ საცურაო აუზ „სპექტრის“ სახურავის ნაწილი ჩამოინგრა. შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია. არსებული ინფორმაციით, არ არიან დაშავებულებიც, რადგან ინციდენტის დროს შენობა ცარიელი იყო. წინასწარი ინფორმაციით, ნგრევის მიზეზი შესაძლოა, შენობის სიძველე გამხდარიყო.

„გადახურვა ჩამოიშალა. დაშავებულები არ არიან. შენობას რეკონსტრუქცია ჩაუტარდება და დაახლოებით ერთ თვეში ისევ გაიხსნება“, – განაცხადა „სპექტრის“ წარმომადგენელმა ზურაბ ბუბაშვილმა. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საქართველოს მოქალაქეობაზე ისეც ცვლილებებს იღებენ



პროექტის თანახმად, საქართველოს მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხები რიგი მიმართულებით ახლებურად დარეგულირდება. ცვლილების მიხედვით, ქვეყნის მოქალაქედ ითვლება ბავშვი, რომლის ორივე ან ერთ-ერთი მშობელი საქართველოს მოქალაქეა დაბადების ადგილის მიუხედავად. ასევე, ქვეყნის მოქალაქეობას მიიღებს საქართველოში სუროგაციის გზით დაბადებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების შვილი, იმ შემთხვევაში, თუკი რომელიმე მშობლის ქვეყანა ბავშვს საკუთარ მოქალაქედ არ სცნობს.

იუსტიციის მინისტრის მოადგილის ალექსანდრე ბარამიძის განმარტებით, კანონპროექტში რამდენიმე ნოვაციაა. კერძოდ, დიფერენცირებულია სრულწლოვანი და არასრულწლოვანი პირების საქართველოს მოქალაქედ მიღების პირობები. ასევე, ახლებური მიდგომებია შემოთავაზებული საქართველოს მოქალაქეობის აღდგენისას, გაუქმებულია სხვა ქვეყანაში ცხოვრების გამო საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის შესაძლებლობა. (ინტერპრესნიუსი)

## „გუნდში პრემიერ-მინისტრის პოზიციამ გაიმარჯვა“




საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, ზვიად ძიძიგურის განცხადებით, საარჩევნო ბარიერის 50%-მდე გაზრდასთან დაკავშირებით გუნდში პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის პოზიციამ გაიმარჯვა.

როგორც ძიძიგური აღნიშნავს, ეს გადაწყვეტილება რამდენიმე კვირის განმავლობაში მსჯელობის საგანი იყო.

„ჩვენი კოალიციის ლიდერის – ირაკლი ღარიბაშვილის პოზიციამ გაიმარჯვა და 50%-იან ბარიერთან დაკავშირებით მივიღეთ გადაწყვეტილება. ეს გადაწყვეტილება რამდენიმე კვირის განმავლობაში იყო კოალიციაში სჯა-ბაასის თემა და ბატონი ირაკლის პოზიციამ, რომ ევროკავშირთან მომავალი ასოცირების ხელშეკრულების კონტექსტში სჯობს, ვალდებულება ავიღოთ 50%-ზე, გადაძალა. ვფიქრობ, ეს გადაწყვეტილება ძალიან უნდა გახარებოდა არასაპარლამენტო ოპოზიციას და ყველას, ვინც ამ კვირების განმავლობაში ძალიან წუხდა, რომ 40%-იანი ბარიერი დაბალია“, – განაცხადა ძიძიგურმა. (ფრონტნიუსი)

## ოპოზიციის გარკვეულ შენიშვნებს გავითვალისწინებთო...

თვითმმართველობის არჩევნებისთვის ბარიერის 50%-მდე გაზრდას საპარლამენტო უმრავლესობა მნიშვნელოვან პოლიტიკურ ნაბიჯად მიიჩნევს.

დეპუტატ გედევან ფოფხაძის განცხადებით, პრემიერის ეს ინიციატივა იმაზე მიუთითებს, რომ ხელისუფლება მზად არის, ოპოზიციის გარკვეული შენიშვნები და მოთხოვნები გაითვალისწინოს.

„თვითმმართველობის არჩევნებისთვის ბარიერის 50%-მდე გაზრდა – ეს არის მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნაბიჯი. ციფრის შეცვლა არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს, თუ ეს ოპოზიციისთვის არსებითად მნიშვნელოვანია. ვფიქრობ, ძალიან კარგი პოლიტიკური შეთავაზებაა და ოპოზიციამ ამასთან დაკავშირებით გამომწვევი შეფასება არ უნდა გააკეთოს. ოპოზიციამ უნდა იგრძნოს, რომ ხელისუფლება მზად არის რაღაც შემთხვევაში მეტ დათმობაზე წავიდეს და ოპოზიციის მოსაზრებები გარკვეულ საკითხებში გაიზიაროს. ჯერჯერობით გაურკვეველია, იქნება თუ არა ამ საკითხის განხილვა პარლამენტში მიმდინარე კვირაში, თუმცა პრემიერის ინიციატივას აუცილებლად გავითვალისწინებთ“, – აღნიშნა გედევან ფოფხაძემ. (ინტერპრესნიუსი)

## პარტიები არჩევნებამდე უნდა გააძლიეროთო...

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის, ნინო ბურჯანაძის განცხადებით, „ფულადი კომპენსაციის მიცემას, ხელისუფლება ნურავის დაამადლის“.

„ერთი მხრივ, ეს ნორმა არსებობდა ადრეც, უბრალოდ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები იყო გამორჩენილი სიაში და რაც შეეხება იგივე კომპენსაციას, ის არანაირად არ უწყობს ხელს პარტიების გაძლიერებას და წინასაარჩევნო პერიოდში პარტიის აქტიურ მოქმედებას. ეს არის პირიქით მცდელობა, რომ არჩევნებამდე ვერ იაქტიუროს პარტიამ, არ ჰქონდეს თანხა, არ ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ რეალური კონკურენტული გარემო შეიქმნას, ხოლო არჩევნების შემდეგ იმისთვის, რომ პარტიები გაჩუმდნენ, მიეცემათ ეს კომპენსაცია. ეს არ არის არც სამართლიანი და არც სწორი“, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ. (პირველი)

## მოშიმშილე მეხანძრეებს არასამთავრობოები სოლიდარობას უცხადებენ



მოშიმშილე მეხანძრეებს ოთხი არასამთავრობო ორგანიზაცია სოლიდარობას უცხადებს: „ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატები“, „მწვანე მუშტი“, „სამოქალაქო ჩართულობა“ და „საქართველოს ახალგაზრდა მწვანეები“.

მოშიმშილე მეხანძრეებს კაზრეთის მუშებიც შეუერთდნენ, რომლებიც თბილისში ოთხი სამარშრუტო ტაქსით ჩამოვიდნენ. აქციის მონაწილეები მსვლელობისას სკანდირებდნენ, „მუშა და არა – მონა“, „სოლიდარობა მუშებს“. არასამთავრობოები მოითხოვენ, კაზრეთის მუშები სამსახურში აღადგინონ, შეუქმნან შრომის შესაბამისი პირობები და მისცენ ნორმალური სადაზღვევო პაკეტი. (ინტერპრესნიუსი)

# საქართველოს რა, ჯარისკაცების აფრიკაში გაგზავნით?



ქართული მხარე განიხილავს ევროკავშირის შეთავაზებას, ცენტრალურ აფრიკაში სამხედრო ოპერაციაში ქართველი სამხედროების ჩართვასთან დაკავშირებით. როგორც თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ განაცხადა, ქართული მხარის გადაწყვეტილების შესახებ საზოგადოება ინფორმაციას მოგვიანებით მიიღებს.

„ასეთი თხოვნით ევროკავშირმა მიმართა საქართველოს, რომლის შეიარაღებულ ძალებს აქვს ძალიან მაღალი გამოცდილება, დიდი პროფესიონალიზმი და საბრძოლო გამოცდილება და ჩვენ, ქართული მხარე, ვართ ამ წინადადების განხილვის სტადიაში“, – განაცხადა ალასანიამ.

**რაში სჭირდება კიდევ ერთ ცხელ წერტილში ქართველი სამხედროების გაშვება ხელისუფლებას, რას მოიგებს ამით საქართველო?**

**„ალიას“ ესაუბრება სამხედრო ექსპერტი გიორგი თავდგირიძე:**

– პირველ ყოვლისა, უნდა ვთქვათ, რომ სამხედროების მონაწილეობას რომელიმე ქვეყნის სამხედრო ოპერაციაში ჩართვაზე თავდაცვის სამინისტრო ვერ გადაწყვეტს, ის მხოლოდ დეტალებს შეათანხმებს და საბოლოო თანხმობა უნდა გასცეს პარლამენტმა. ქართული კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ მსგავსი საკითხს წყვეტს მხოლოდ პარლამენტი. მეორე, რაც მთავარია, თავდაცვის სამინისტრო ასეთ თემებს უნდა აქცევდეს ფართო მსჯელობის საგნად, საზოგადოებამ უნდა გადაწყვიტოს, მისი ქვეყნის ჯარისკაცები იქნებიან თუ არა რომელიმე ქვეყნის სამხედრო ოპერაციაში მონაწილეები. არგუმენტები არსებობს და მათ შორის მეც, როგორც რიგით სამხედრო ექსპერტს მაქვს ჩემი მოსაზრებები, თუმცა აქცენტი მაინც უნდა გაკეთდეს საზოგადოების განწყობაზე.

**— ოპერაციაში ქართველი სამხედროების მონაწილეობის შემთხვევაში რას მიიღებს საქართველო?**

– ჩვენ ჯერ არ ვიცით, მისია როგორი იქნება, ან იქნება თუ არა. შეიძლება იყოს სამშვიდობო, შეიძლება იყოს ჰუმანიტარული. თუკი ჰუმანიტარულ მისიაში ვმონაწილეობთ ამ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია გავაგზავნოთ იქ სამხედრო სპეციალისტები. დივიდენდი რაც შეიძლება მივიღოთ, ეს არის პრაქტიკის დახვეწა, გამოცდილების გაზრდა, შეიძლება იყოს გარკვეული ფინანსური დაინტერესებაც. ეს რაც შეიძლება მისიაში მონაწილეობით მიიღოს სამხედრო მოსამსახურემ. რაც შეეხება სახელმწიფოს, ჩვენ, რაც უფრო ფართოდ ვიქნებით წარმოდგენილი ასეთ ადგილებში და ვიქნებით ჩართული, ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების საკითხების დაცვასა და თანადგომაში მეტის მოთხოვნის უფლება გვექნება. რაც შეეხება რისკებს, აქ გათვლილი უნდა იყოს ნებისმიერი რისკი და ამ შემთხვევაში თავდაცვის სამინისტრომ უნდა მოითხოვოს, ტექნიკურად ისე დაიგეგმოს მისიაში მონაწილეობა, რომ რისკები დაყვანილი იქნას მინიმუმამდე. ამას უნდა მუშაობა, ამას უნდა გონიერი მიდგომა. თუმცა რაც მე მაშფოთებს და მაშინებს, ის არის, რომ რატომღაც ქართველი პოლიტიკოსები, განსაკუთრებით ე.წ ნატოზე დახარბებული პოლიტიკოსები, ევროკავშირის წარმომადგენლებისგან შექებას პაპუასებივით დახარბებულები ელოდებიან, არადა ჩვენ პირველ ადგილზე უნდა დავაყენოთ ჯარისკაცის უსაფრთხოება და შესაბამისად, მისიაში მონაწილეობის საფასურად გარკვეული გარანტიები უნდა მივიღოთ.

**— გარანტიებში რას გულისხმობთ?**

– მაგალითად, თუკი აფრიკაზე არის საუბარი, ძალიან დიდი რისკია, რომ აფრიკული კლიმატის გავლენები მოგვიანებით გამოუვლინდეს ჯარისკაცს სხვადასხვა დაავადების სახით. ჩვენ უნდა მოვითხოვოთ ევროკავშირისგან ფინანსური და ტექნიკური დახმარება სარეაბილიტაციო ცენტრის ასაშენებლად. თავისთავად მისასალმებელია ფაქტი, როცა შენს ჯარისკაცებს ასე აფასებენ და ნდობა აქვთ, თუმცა ქართველი სამხედროების ცენტრალურ აფრიკაში გაგზავნას მივესალმები მხოლოდ მაშინ, თუკი ქართული მხარის მიერ იქნება პირობები დაყენებული, რომელიც ჯარისკაცების უსაფრთხოების დაცვას გულისხმობს.

**— თუკი პირობებს არ დააყენებს თავდაცვის სამინისტრო და იქნება ერთადერთი არგუმენტი, რომ ქართველი ჯარისკაცები გამოცდილებას მიიღებენ, ამ შემთხვევაში მათი სიცოცხლით გარისკვა იმის გამო, რომ სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობის გამოცდილებას მიიღებენ, გამართლებულია?**

– ასეთი ტიპის გამოცდილება მაშინ არის კარგი, როდესაც თავდაცვის სისტემა გაქვს აწყობილი ისე, როგორც საჭიროა. რა თქმა უნდა, გამოცდილება გამოცდილებისთვის არაფერს არ ნიშნავს. მისიაგამოვლილმა სამხედრო მოსამსახურემ, რომელიც ფსიქოლოგიურ ტრავმებს მიიღებს, თუკი რეაბილიტაციის კურსი არ გაიარა, რა თქმა უნდა, ეს გამოცდილება დაკარგულია. როდესაც სახლში გყავს ე.წ. „ზაპოროჟეცი“, მაშინ პრაქტიკა უნდა გაიაროთ ზაპოროჟეცზე და დასავლეთში ტრაქტორის მართვის სასწავლებლად არ უნდა წახვიდეთ. ტრაქტორის ტარების გამოცდილება არ გამოგვადგება „ზაპოროჟეცის“ სამართავად. უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ჩვენი მანქანა, ამ შემთხვევაში ქართული ჯარი იყოს ისე გამართული, რომ ის გამოცდილება გამოიყენონ. ამიტომ ჯერ თავდაცვის უწყებაშია რეფორმები გასატარებელი, რადგან სიცოცხლის რისკის ფასად მიღებული გამოცდილება იქნას საქართველოში გამოყენებული.

**კომენტარისთვის „ალია“ თავდაცვის მინისტრის მოადგილეს, ვაკო ავალიანსაც დაუკავშირდა:**

– სამხედრო საქმეები მარჩიელობას ვერ იტანს, ამიტომ წინასწარ ვერ გეტყვით, რა იქნება, როგორ, რა პირობები იქნება დაყენებული და ჩაერთვებიან თუ არ საკითხის განხილვაში საზოგადოებრივი ინსტიტუტები. ევროკავშირის ამ მოთხოვნის შესახებ ინფორმაცია უკვე გადაეგზავნა საქართველოს მთავრობას და ამჟამად მიმდინარეობის საკითხის განხილვა.

**— რას მოიგებს საქართველო ქართველი ჯარიკაცების ცენტრალურ აფრიკაში გაგზავნით?**

– ყველამ უნდა გავაცნობიეროთ, რომ, თუკი საქართველო მოითხოვს მეგობარი ქვეყნებისა და ორგანიზაციებისგან ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების დაცვას, საქართველომაც უნდა შეიტანოს წვლილი მსოფლიო უსაფრთხოებაში. თუკი მთავრობა ევროკავშირის ამ შეთავაზებაზე დადებით გადაწყვეტილებას მიიღებს, სწორედ ამის შემდეგ მოხდება დეტალების დაზუსტება და პირობების დაყენება.

შორენა გოგოლაძე
599 22 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თბილისის მერია 11 მარტს ბიუჯეტის ახალ პროექტს წარადგენს



თბილისის მერია 11 მარტს საკრებულოს ქალაქის ბიუჯეტის ახალ პროექტს წარუდგენს. როგორც მერის მოადგილემ პაპუნა პერტიაშვილმა განაცხადა, პროექტის წარდგენამდე გაიმართება განხილვები იმ ბენეფიციარებთან, რომლებიც ბიუჯეტის სხვადასხვა პროექტით სარგებლობენ.

„ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში 2014 წელი თბილისისთვის დაკარგული იქნება და არ განხორციელდება ახალი პროექტები“, – აცხადებს პაპუნა პეტრიაშვილი.

ამავდროულად, მისივე თქმით, ფუნქციონირებას არ შეწყვეტს ისეთი სამსახურები, როგორიცაა დასუფთავება, გარე განათება, საბავშვო ბაღები, საგანგებო და სასწრაფო დახმარების ბრიგადები და ა.შ.

„11 მარტს ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში მისი მიღება ივლისამდე აღარ მოხერხდება“. – დასძინა პეტრიაშვილმა.

ჰაიდელბერგცემენტი
HEIDELBERGCEMENT
შპს „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი“

აცხადებს ფასთა გამოკითხვას:
შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ კავთისხევი-სასხორის საბადოების დამაკავშირებული გზის მშენებლობის საზედამხედველო მომსახურებაზე

დაინტერესებულ კომპანიებს ფასთა გამოკითხვის მასალების წაღება შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან, ქვემოთ მოცემულ მისამართზე.

**შპს „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი“**
**ლერმონტოვის №18, თბილისი, საქართველო**
**ტელ: +995 32 247 47 47 (114)**
**+995 77 99 86 29**
**დავით მერკვილაძე**
**წინადადებების მიღების ბოლო ვადაა: 2014 წლის 20 თებერვალი.**

CIAN MAGENTA YELLOW BLACK



# „გუდვილის“ გაკოტრების მიზეზი არასწორი მენეჯმენტია



მას შემდეგ, რაც „გუდვილის“ რამდენიმე მარკეტი დაიხურა, საზოგადოებაში კომპანიის გაკოტრების შესახებ ხმები მალევე გავრცელდა.

„გუდვილში“ შექმნილ პრობლემას მენეჯმენტი არამიზნობრივ ხარჯებს უკავშირებდა, რომლის გაღებაც მათ „ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ მოუწიათ. ამის პარალელურად, ქსელის გაკოტრების სხვა მიზეზებიც იყო ცნობილი. მაგალითად ის, რომ მომწოდებლებისგან „გუდვილი“ ვალად იღებდა პროდუქციას, მათთვის გადასახდელ თანხას კი სხვა ღონისძიებებში ხარჯავდა. აღსანიშნავია საწარმო „მარშეც“, რომელიც ბანკიდან აღებული კრედიტით გაიხსნა და რომლის დანადგარებშიც ასობით ათასი ლარი იქნა გადახდილი, მაშინ, როცა კომპანიის მოგება არ იყო საკმარისი იმისთვის, რომ აღებული სესხი დაფარულიყო. გარდა ამისა, კომპანიამ ვაკეში სუპერმარკეტის გასახსნელად შენობის ქირაობას მისი შეძენა ამჯობინა. კომპანიის კიდევ ერთი გაუმართლებელი ნაბიჯი „გუდვილის“ დამფუძნებლის გოგი შევარდნაძის მიერ კომპანიის სხვა პარტნიორების წილის გამოსყიდვა იყო, რამაც საბოლოოდ ჰიპერმარკეტების ქსელს სერიოზული ფინანსური პრობლემები შეუქმნა.

ცნობილი ხდება „გუდვილის“ ხელმძღვანელთა არასწორი მენეჯმენტის სხვა ფაქტებიც. მაგალითად, ის, როგორ ატყუებდა ქსელის ერთ-ერთი დამფუძნებელი გოგი შევარდნაძე ძირითად კრედიტორს – „თიბისი ბანკს“, რათა დამატებით სოლიდური კრედიტები მიელო.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში „გუდვილი“ არაზუსტ ფინანსურ მონაცემებს აწვდიდა ბანკს იმისთვის, რომ მიელო დამატებითი დაფინანსება. კერძოდ, ატყუებდნენ ბანკს არსებული მარაგების ღირებულების და სხვა ისეთი მონაცემების შესახებ, რომელთა გადამოწმება ბანკისთვის ტექნიკურად თითქმის შეუძლებელი იყო. არადა, სესხის დამტკიცება ხდებოდა კომპანიის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე, საიდანაც ჩანდა, რომ ყოველი ახალი პროექტის განხორციელება და მიღებული შემოსავლები „გუდვილისთვის“ შესაძლებელს ხდიდა მზარდი საბანკო ვალდებულებების მომსახურებას.

ბანკისთვის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „გუდვილი“ არ იყო ისეთი მომგებიანი, როგორც ამას კომპანიის მენეჯმენტი ფურცელზე აჩვენებდა, მაშინ გახდა ცნობილი, როდესაც სესხები უკვე გაცემული ჰქონდა.

როგორც „თიბისი ბანკის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განმარტავენ, ისინი 2003 წლიდან ახორციელებდნენ „გუდვილის“ დაფინანსებას და ხელს უწყობდნენ გაფართოებასა და ფინანსური ნაკადების მართვაში, თუმცა მათთვის მხოლოდ გასულ წელს გახდა ცნობილი, რომ კომპანიის ხელმძღვანელობა ბოლო პერიოდში არასწორ ფინანსურ მაჩვენებლებს აწვდიდა, რათა სესხი მიეღოთ, რომელიც, ჯამში, რამდენიმე ათეულ მილიონ ლარამდე გაიზარდა.

„თიბისი ბანკის“ ინფორმაციით, როდესაც „გუდვილის“ დამფუძნებელმა, გიორგი შევარდნაძემ გადაწყვიტა საკუთარი წარმოების აწყობა, „თიბისი ბანკმა“ გამოუყო შესაბამისი დაფინანსება „მარშეს“ წარმოების შესაქმნელად.




2012 წლის ბოლოსთვის „გუდვილსა“ და „მარშეს“ დაუგროვდა მილიონობით ლარის დავალიანება „თიბისი ბანკის“ მიმართ. კომპანიის აქტივები გირავნობითა და იპოთეკით იყო დატვირთული ბანკის სასარგებლოდ. ამავე დროს, ვალდებულებებით იყო დატვირთული გოგი შევარდნაძის, როგორც დამფუძნებლის წილი კომპანიის საწესდებო კაპიტალში. „გუდვილი“ საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ოპერირებდა ძალიან მაღალი საოპერაციო ხარჯებით, განიცდიდა საოპერაციო ზარალს, რის გამოც შეექმნა ფულადი სახსრების დეფიციტი. მას უკვე აღარ შეეძლო სესხების მომსახურება, თუმცა, ბანკისთვის ეს ფაქტი დაგვიანებით გახდა ცნობილი. როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ბოლო წლების მანძილზე „გუდვილი“ ბანკს არაზუსტ ფინანსურ მონაცემებს აწვდიდა იმისთვის, რომ დამატებითი დაფინანსება მიელო.

მას შემდეგ, რაც ბანკმა შეიტყო, რომ სესხს არასწორი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საფუძველზე გასცემდა, „გუდვილს“ ფინანსური უწყისების წარმოდგენა ოფიციალურად მოსთხოვა, თუმცა კომპანიის მენეჯმენტი კვლავ ცდილობდა, ბანკისთვის არ მიეწოდებინა სწორი ფინანსური ინფორმაცია. „თიბისი ბანკში“ განმარტავენ, რომ „გუდვილის“ მენეჯმენტი გარკვეული დროის განმავლობაში აწვდიდა ვითომ სწორ, სინამდვილეში კი არასწორ ინფორმაციას, ერთ მშვენიერ დღეს კი, „პროგრამის დაზიანების“ მიზეზით, საეჭვოდ გაქრა 2012 წლამდე პერიოდის ფინანსური ინფორმაცია.

ბანკში აცხადებენ, რომ 2013 წლის 29 მარტს „გუდვილის“ დამფუძნებელმა ბანკის წარმომადგენლებთან შეხვედრისას თავადვე აღიარა, რომ შეგნებულად ატყუებდა ბანკს და გაყალბებულ ფინანსურ ინფორმაციას აწვდიდა.

საბოლოოდ, გადაწყდა, რომ ბანკი მსესხებელთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე, მიიღებდა საკუთრებაში (გადაიფორმებდა) იპოთეკითა და გირავნობით დატვირთული ქონების ნაწილს, რის შედეგადაც შემცირდებოდა კომპანიის დავალიანება, შესაბამისად, შემცირდებოდა სესხის მომსახურების ხარჯები და თანხების ბრუნვისას მას ნაკლები პრობლემა შეექმნებოდა.

ბანკის ამ გადაწყვეტილებას „გუდვილის“ დამფუძნებელი გოგი შევარდნაძე არასამართლიანად აფასებს და ამბობს, რომ „თიბისი ბანკმა“ „გუდვილისა“ და „მარშეს“ აქტივები მიზერულ ფასად გადაიფორმა.




„თიბისი ბანკში“ გოგი შევარდნაძის ბრალდებებს აბსურდულს უწოდებენ.

საქმე ისაა, რომ 2013 წლის აპრილ-მაისში „თიბისი ბანკმა“ „გუდვილის“ დამფუძნებლების წერილობითი თანხმობით, გადაიფორმა „გუდვილისა“ და „მარშეს“ აქტივები, რის შედეგადაც ამ კომპანიის სესხი შემცირდა თითქმის 80%-ით. ამან „გუდვილს“ გაცილებით შეუმსუბუქა დარჩენილი სესხის მომსახურება და ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაც მისცა.

აქტივების ფასთან დაკავშირებით გოგი შევარდნაძის განცხადების აბსურდულობას „თიბისი ბანკი“ იმითაც ასაბუთებს, რომ ბანკმა მხარეებს შორის დადებულ შესაბამის ხელშეკრულებაში შეიტანა პირობა, რომლის მიხედვითაც „გუდვილს“ ჰქონდა უფლება, იმავე ფასად გამოესყიდა იგივე ქონება, რა ფასადაც ის ბანკმა „გადაიფორმა“.

ფაქტია, რომ გოგი შევარდნაძეს ამ უფლებით არ უსარგებლია. არც ინვესტორი მოუნახავს, რომელიც ამ თითქოსდა „მიზერულ“ ფასად შეისყიდდა მის კომპანიას. შესაბამისად, სად არის ლოგიკა, „გუდვილისა“ და „მარშეს“ აქტივების „მიზერულ“ ფასთან დაკავშირებით?

რაც მთავარია, „თიბისი ბანკს“ არც არაფერში სჭირდებოდა „გუდვილის“ ქონების ხელში ჩაგდება. უფრო მეტიც, მათ სრული კანონიერი უფლება ჰქონდათ, ჰიპერმარკეტები და „მარშეს“ საწარმო გაექირავებინათ სხვა, გადახდისუნარიან კომპანიაზე, რაც ბანკისთვის ფინანსურად გაცილებით მომგებიანი და გამართლებული იქნებოდა, თუმცა ეს არ გააკეთეს. პირიქით – აქტივების გადაფორმების გზით „გუდვილს“ სესხები ხუთჯერ შეუმცირეს და დატოვეს ძველი მენეჯმენტი, რითაც გოგი შევარდნაძეს მისცეს საშუალება, გამოესწორებინა შექმნილი კრიზისული ვითარება და არ გაჩერებულიყო კომპანიის ფუნქციონირება.

როგორც „თიბისი ბანკის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განმარტავენ, „გუდვილის“ დამფუძნებლის გოგი შევარდნაძის ბოლოდროინდელი განცხადებები ცხადყოფს, რომ ის აქტიურად ცდილობს, „თიბისი ბანკის“ მისამართით გაკეთებული ცილისმწამებლური განცხადებებით მედიის ყურადღება მიიქციოს და მედია გამოიყენოს ინსტრუმენტად, ბანკზე ზეწოლის მიზნით.

– ამჟამად „თიბისი ბანკი“ ფლობს აქტივს, რომელიც მას არაფერში სჭირდება და თუ კომპანია ან კრედიტორები მოძებნიან ვინმე რეალურ მსურველს და გადაწყვეტენ აღნიშნული აქტივის გამოსყიდვას, ბანკი სიამოვნებით განიხილავს ამგვარ წინადადებას, ვინაიდან ბანკის მიზანი არ არის კომპანიების ან მათი ქონების საკუთრებაში მიღება. ბანკის მიზანია მის მიერ გაცემული სესხის დაბრუნება, რაც მის ლეგიტიმურ უფლებას წარმოადგენს, – განმარტავენ ბანკში.

## საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 761 მლნ აშშ დოლარი შეადგინა



2014 წლის იანვარში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 761 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

„საქსტატის" ინფორმაციით, აღნიშნული მონაცემი წინა წლის მაჩვენებელზე 15 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 224 მლნ აშშ დოლარი იყო (14 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 538 მლნ აშშ დოლარი (15 პროცენტით მეტი).

უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2014 წლის იანვარში 314 მლნ აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 41 პროცენტი შეადგინა. (ინტერპრესნიუსი)

## შემოსული ფულადი გზავნილები 173.6 მლნ ლარია

2014 წლის იანვარში საქართველოში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 98.7 მლნ აშშ დოლარი, ანუ 173.6 მლნ ლარი შეადგინა.

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, აღნიშნული ციფრი 2013 წლის იანვრის ანალოგიურ მაჩვენებელზე 4.6 მლნ აშშ დოლარით (8.0 მლნ ლარით), ანუ 4.9 პროცენტით მეტია.

უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 93.2 პროცენტი იმ 12 უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ იანვარში 1 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. იმავე 12 ქვეყანაზე გასული წლის იანვარში მთელი ფულადი გზავნილების 94.0 პროცენტი მოდიოდა. 2014 წლის იანვარში საქართველოდან საზღვარგარეთ 12.2 მლნ აშშ დოლარი (21.5 მლნ ლარი) გადაიგზავნა, გასული წლის იანვარში გაგზავნილი 9.5 მლნ აშშ დოლარის (15.7 მლნ ლარი) ნაცვლად. (ინტერპრესნიუსი)

# რაში დასახარჯად აძლევენ განათლების სამინისტრო 140 მილიონს?

აქამდე მინაბული და მიძინებული განათლების სამინისტრო ამ ბოლო დროს ისე ამუშავდა, ჩვენს გულს რომ გაუხარდება. მაგრამ ისეთ ამბავზე უნდა გიამბობთ, ამ შემთხვევაში უკვე მათ გულებსაც რომ გაახარებს: კერძოდ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის განვითარებისთვის, გრანტის სახით, 140 მილიონ დოლარს იღებს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციიდან. აქედან ზოგადი განათლების ხარისხის განვითარების მიზნით 76 მილიონი აშშ დოლარი უნდა დაიხარჯოს. აღნიშნული თანხა მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა გადამზადებაში, საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და სხვადასხვა ტიპის შეფასებაში დაიხარჯება. უფრო კონკრეტულად კი საქმე შემდეგშია: 2015 წლიდან ზოგადი განათლების სფეროში ახალი 5-წლიანი პროექტი დაიწყება, რომელიც 24 ათასამდე მასწავლებლის გადამზადებასა და მათი პროფესიული განვითარების სქემის დახვეწას ითვალისწინებს.

**სამწუხაროდ, განათლების სამინისტროში კონკრეტულ საკითხებზე ვერ დაგველაპარაკნენ, ამიტომ გვესაუბრება „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი — საქართველოს" აღმასრულებელი დირექტორი მაგდა მაღრაძე, ვისი ეგიდითაც მოხდება ამ პროექტის განხორციელება:**

**— ცნობილია, რომ პროექტის ფარგლებში უნდა დაიწყოს ახალ საკლასო შეფასებაზე გადასვლა. ეს რას ნიშნავს?**

– მაია მიმინოშვილის „გამოცდების ეროვნულ ცენტრს" დაემატა ახალი კომპონენტი, ანუ ზოგადი განათლების ეროვნულ და საერთაშორისო შეფასებებთან ერთად, რომელსაც ასევე ითვალისწინებს პროექტი, შემუშავდება საკლასო შეფასების ახალი სისტემა. ჩვენ გვყავს გერმანული საკონსულტაციო ფირმა, რომელმაც ტენდერში გაიმარჯვა და ქართველ პარტნიორებთან ერთად უნდა შეიმუშაოს საკლასო შეფასების გეგმა. ეს გეგმა მასწავლებლებს დაეხმარება, შეაფასონ საკუთარი თავი, რამდენად კარგად ასწავლიან საგანს. რაც დიდი სიახლეს წარმოადგენს და რომელიც აქამდე არ არსებობდა. ამ მეთოდის საშუალებით გახდება ცნობილი, რამდენად კარგად აისახება მათ მიერ გადაცემული საგნის სწავლება მოსწავლის მოსწრებაში. ასევე, თავად ის ნიშანი, რასაც მოსწავლეებს უსვამენ პედაგოგები, არ გვიჩვენებს, რამდენად კარგად დაძლია მოსწავლემ მისთვის გადაცემული მასალა. ეს არის ის ახალი მიდგომა, რაც უცხოეთში არის აპრობირებული და იმედი გვაქვს, საქართველოს რეალობასაც მოერგება. თავად მექანიზმზე მე ვერაფერს გეტყვით, ამაზე სპეციალისტები იმსჯელებენ.

**— განცხადების მიხედვით, ეს გრანტი ინფრასტრუქტურას უნდა მოხმარდეს და რა, ჩვენ სკოლების ინფრასტრუქტურა არ გვაქვს მოწესრიგებული?**

– ამ ნაწილში ჩვენ ვგულისხმობთ საქართველოს სოფლებში არსებული 130-მდე სკოლის რეაბილიტაციას, ამ სკოლებში თანამედროვე ლაბორატორიების გახსნასა და აღჭურვას. გარდა ამისა, მოგეხსენებათ, დღეს სკოლებში არ არსებობს სისტემა, რომ, თუ რამე ზიანდება, სკოლა ვის უნდა დაუკავშირდეს, როგორ უნდა შეაკეთოს, საიდან უნდა წამოვიდეს თანხა და ამის სტრატეგიის შემუშავებაშიც დავეხმარებით სკოლებს. არსებობს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, აი, სწორედ ამ სააგენტოსთან ერთად შევიმუშავებთ აღნიშნულ გეგმას. ამის გარდა 140-მილიონიანი კომპაქტი არის ხუთწლიანი და ამ დროის მანძილზე ჩვენი ფონდი განახორციელებს პროექტებს, ესაა ზოგადი განათლების პროექტი, რომელიც უამრავ სხვა პროექტებს მოიცავს. ეს იქნება ეროვნული მასშტაბის გეგმა და ის ასევე მოიცავს მასწავლებლების, სკოლის დირექტორებისა და ფასილიტატორთა, რომლებიც ამ გადამზადების კოორდინირებას გაწევენ, მათ პროფესიულ განვითარებას და აქვე გვაქვს განსაზღვრული ამ ახალი შეფასების სისტემის დანერგვა. ამაშივე შევა პროფესიული განათლების კომპონენტი, რომლის ფარგლებშიც მოხდება პროფესიული განათლების პროვაიდერებისთვის საგრანტო პროგრამების შეთავაზება და ასევე, უმაღლესი განათლების კომპონენტი, სადაც მოხდება საერთაშორისო ტენდერის შედეგად ამერიკული უნივერსიტეტის გამოვლენა, რომელიც ქართულ უნივერსიტეტებთან ერთად შექმნის კონსორციუმს, რაც საქართველოში განახორციელებს საბაკალავრო პროგრამებს და გასცემს ამერიკული უნივერსიტეტის დიპლომს.



**— 140 მილიონი დოლარი საკმაოდ დიდი თანხაა, ესაა გრანტი, ანუ, ნაჩუქარი თანხა. ჩვენ საკმაოდ ცუდი გამოცდილება გვაქვს ამდაგვარი გრანტების „აორთქლების", გავიხსენოთ იგივე „ირმის ნახტომი" და „ჭავჭავაძის პროექტი". მსგავსი რამისგან რომ ვიყოთ დაზღვეულები, მაინტერესებს, ვინ გააკონტროლებს ამ პროექტის თანხას?**

– რაც შეეხება თანხის გაკონტროლებას, ეს გახლავთ ამერიკული კორპორაცია, იგივე მილენიუმის კორპორაცია, რომელსაც გააჩნია როგორც შიდა მონიტორინგის და შეფასების შიდა აუდიტი, ასევე წელიწადში ორჯერ ჩატარდება საერთაშორისო აუდიტი ამ თანხების მთლიანი ხარჯვის, წელიწადში ერთხელ კი აღნიშნულ თანხების ხარჯვას გააკონტროლებს ამერიკის შეერთებული შტატების გენერალური ინსპექცია.

**— ასე რომ, არ გვეშინოდეს?**

– არანაირად. ეს გენერალური ინსპექცია ამოწმებს ამერიკის მთავრობის ხარჯების მიზანმიმართულებას.

**— ანუ ჰაერში არ გადაიყრება ეს ფული და ვერავინ მოიპარავს?**

– ის პროექტებიც რომ ახსენეთ, შეიძლება ის თანხებიც მიზნობრივად დაიხარჯა, მაგრამ ქვეყნის პრიორიტეტების ცვლილებასთან ერთად გრძელვადიან პერსპექტივაში შედეგი არ გამოჩნდა.

**— ამ შემთხვევაში შედეგი დაიდება?**

– ნამდვილად, ამის ყველა პირობა არსებობს.

**თამარ ოქრუაშვილი**
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მერაბიშვილის ბრალეულობაში საზოგადოებას ეჭვი ნამდვილად არ ეპარებოდათ



ვიცე-პრემიერი, ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის მიმართ გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებას ეხმაურება.

„სასამართლო არის დამოუკიდებელი. მერაბიშვილის ბრალეულობაში საზოგადოებას ეჭვი ნამდვილად არ ეპარებოდა, თუმცა ჩვენ ყველანი ველოდებოდით, როგორ დასრულდებოდა გამოძიება. სხვა მიმართულებითაც მიმდინარეობს გამოძიება, რაშიც მერაბიშვილს ბრალი ედება. ეს არის 26 მაისის თემა, გირგვლიანის მკვლელობასთან დაკავშირებული საქმე. ვფიქრობ, ეს არის სამართლიანობის აღდგენის პროცესი, რომელიც დაწყებულია ქვეყანაში და მშვიდ გარემოში მიმდინარეობს, სადაც კანონი ყველასა და ყველაფერზე მაღლა დგას. ამიტომ არ აქვს მნიშვნელობა, პიროვნებები რა თანამდებობაზე იმყოფებოდნენ, ყველა კანონის ფარგლებში უნდა მოიქცეს. ეს არის პრინციპულად მნიშვნელოვანი", – განაცხადა კალაძემ.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ყოფილ პრემიერს, ვანო მერაბიშვილს თავისუფლების 5 წლით აღკვეთა მიუსაჯა, კახეთის ყოფილ გუბერნატორს, ზურაბ ჭიაბერაშვილს კი 50 000 ლარის ოდენობის ჯარიმა დააკისრა. (ინტერპრესნიუსი)

## ოთანაძე გივი თარგამაძეს დაცხრილვაში ადანაშაულებს



მუხროვანის ამბოხში ბრალდებული კობა ოთანაძის განცხადებით, პარლამენტის დეპუტატმა გივი თარგამაძემ მას ხელები დაუცხრილა. თავად მას ეს არ დაუნახავს, თუმცა არიან ადამიანები, რომლებიც იტყვიან, რომ მას გივი თარგამაძემ ესროლა. მისივე თქმით, ეს ადამიანები მასთან პირად საუბრებში ამბობენ, რომ მათ დაინახეს, როგორ ესროლა თარგამაძემ.

„მანქანიდან როცა გადმოგვყარეს, დავინახეთ, რომ ადგილზე იყვნენ გივი თარგამაძე, გიგი უგულავა, ვანო მერაბიშვილი, ასევე, სხვა სამოქალაქო პირები და სპეცრაზმელები. ისინი ულოცავდნენ ერთმანეთს ჩვენს ჩაცხრილვას, შემდეგ შეგვდგნენ წიხლებით, ამ დროს გავიგე გივი თარგამაძის მიმართ შეძახილი: „გივი, არ გინდა". თუმცა, ამას მაინც მოჰყვა ჩემი ხელების დაცხრილვა. არიან ადამიანები, რომლებმაც უშუალოდ დაინახეს, რომ მესროლა და დამიცხრილა გივი თარგამაძემ ხელები და ეს ადამიანები იმედია, ამას გამოძიებასთანაც იტყვიან. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ინფორმაცია 99%-ით დამტკიცდება", – განაცხადა კობა ოთანაძემ. მისივე თქმით, ის ამ ეტაპზე თვითმხილველების გვარებს ვერ დაასახელებს, რადგან გამოძიება მიმდინარეობს. (ინტერპრესნიუსი)

## სამტრედია-გრიგოლეთის გზის პროექტირება დაიწყო

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ცნობით, აღნიშნული 52 კმ-იანი გზის ჩქაროსნულ მაგისტრალად მოდერნიზების პროექტი 4 ეტაპად (ლოტად) ხორციელდება. აქედან, პირველი ლოტის – 11,5 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობა მიმდინარეობს (ამ ეტაპზე სრულდება ტოპო-გეოდეზიური სამუშაოები). დანარჩენი 3 ლოტის მშენებლობისთვის დეტალური პროექტირების სამუშაოები დაწყებულია. სამტრედია-გრიგოლეთის მომდევნო მონაკვეთის პროექტირება 2014 წელს დასრულდება და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე ტენდერიც მიმდინარე წელს გამოცხადდება. (ინტერპრესნიუსი)

CIAN MAGENTA YELLOW BLACK



რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# თეატრალურის ახლად არჩეული რექტორის საქმეს პროკურატურა იძიებს?

„17 თებერვალს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის რექტორი გიორგი მარგველაშვილი გახდა და გადაწყვეტილება აკადემიურმა საბჭომ ფარული კენჭისყრის შედეგად მიიღო. არჩევნებში სულ სამი კანდიდატი მონაწილეობდა: გიორგი მარგველაშვილი, გიორგი ჩართოლანი და მარინა მიქაუტაძე. ამ დრომდე მარგველაშვილი რექტორის მოვალეობას ასრულებდა". – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

**ამ მცირე ინფორმაციის უკან საკმაოდ დიდი ვნებათაღელვა იმალება. სინამდვილეში რა მოხდა არჩევნების დროს და რამდენად ობიექტურად მოხდა რექტორის არჩევა?**

**გვესაუბრება რექტორობის ერთ-ერთი კანდიდატი, პროფესორი მარინა მიქაუტაძე:**

– (მისუსტებული ხმით) ეს არჩევა არ იყო! მარგველაშვილი აკადემიურმა საბჭომ ერთპიროვნულად გაიყვანა კანონის სრული დარღვევით. ესაა კაცი, რომელიც უკვე მე-9 წელია, რექტორია. მანამდე აი, რა ხდებოდა: როცა აკადემიური საბჭოს წინაშე მოხდა ჩემი გეგმის განხილვა, გამოვედი, ვისაუბრე სტრატეგიული გეგმის შესახებ და გაოცებული ვარ, რადგანაც საბჭომ ერთსულოვნად მიიღო ჩემი გეგმა მოწონებით, გაგებით, თან მეთანხმებოდნენ, შენიშვნა არ მოუციათ. მერე მოხდა კენჭისყრა და საინტერესო რა მოხდა, იცით? (გამოცოცხლდა) საერთოდ არ გამოჩენილა გოგი მარგველაშვილი. რა გეგმა წარმოადგინა, რა უნდოდა, რა ხედვა აქვს, ეს არ უნდა გვცოდნოდა? არ ყოფილა იქ, საერთოდ არ გამოჩენილა. მარგველაშვილი თვალით არავის უნახავს.

**— აბა, გეგმა როდის წარმოადგინა?**

– ალბათ, ცალკე მისცა საბჭოს და იმათ ფარდის მიღმა განიხილეს. თან ეს ის კაცია, არ დაგავიწყდეთ, რომელზეც ნოდარ ხადური ერთი კვირის წინ მეუბნება, რომ მარგველაშვილის საქმე გადაცემულია გენერალურ პროკურატურაში და შიდა მოკვლევის პროცესია დაწყებულიო, რომ გენერალურმა პროკურატურამ გადაუგზავნა ეს საქმე ქალაქ თბილისის პროკურატურას გამოსაძიებლად და რომ ამ საქმეს კურირებს საქართველოს კანცელარიის გამგე მაია ცქიტიშვილი. ეს ის საქმეა, რომელიც ამდენ ხანს თაროზე იყო შემოდებული, რასაც ბლოკავდა კულტურის სამინისტრო, იგივე ოდიშარიასა და მანანა ბერიკაშვილის ტანდემი. ამ დროს გურამ ოდიშარია ხელს იშვერს ბერიკაშვილისკენ, მაგას მოჰკითხეთ ყველაფერიო. ჩემი აზრით კი, პასუხისმგებლობა ორივეს ეკისრება, ერთი მინისტრია და მეორე – მოადგილე. მაგათთან ორივესთან კითხვები მაქვს. ახლა რომ გელაპარაკებით, ჩემსავით უსამართლოდ დაჩაგრული პროფესორები მისმენენ და მათი თანდასწრებით ვამბობ, რადგანაც ყველა ერთ აზრზე ვართ: 700 000 ლარი მარგველაშვილის რექტორობის დროს გამქრალია, რაც გამოყოფილი იყო იმისთვის, რომ ჩვენს უნივერსიტეტში უნდა შექმნილიყო ოთხტომეული. ცნობილია, რომ ფული გამოიწერა მთლიანად და ეს ფული შეჭმულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ, ამაში გარეულია პრორექტორი ვასო კიკნაძე, რომელიც იყო სამეცნიერო სექტორის ხელმძღვანელი და მისი ხელმოწერით ხდებოდა ყველაფერი, ისე, რომ ერთი ტომიც არ დაბეჭდილა. საქმე შევიდა გენერალურ პროკურატურაში და მასზე მისცა ჩვენება ყოფილმა მთავარმა ბუღალტერმა ბასიაშვილმა და ეს ფაქტი დაადასტურა.

**— მერე რა მოხდა?**

– რა და, როგორც კი საქმეს მსვლელობა მიეცა, შეჩერდა. ეს მოხდა 2010 წელს, „ნაციონალების" დროს და ჩვენ კითხვას ვსვამთ: ახლა ხომ აღარ არის „ნაციონალური" ხელისუფლება, მოვიდნენ ახლები, მოვიდნენ ჩვენი დიდი მხარდაჭერით და რა ხდება ამათ დროს? რა, მანანა ბერიკაშვილია უზენაესი ხელისუფალი? სად არის კანონი? როცა ხადურის თანაშემწე მირეკავს და მეუბნება, გილოცავთ, თქვენი საქმეები თავიდან შევიდა პროკურატურაში და ველარ დაიბლოკებაო, რადგანაც თავად მინისტრმა ხადურმა დაადო რეზოლუციაო, თუკი დაიძრა ეს სისხლის სამართლის ნიშნების მქონე საქმეები, რას ნიშნავდა ეს რექტორის არჩევნები? რა ხდება? რა, მანანა ბერიკაშვილს პროკურატურაზეც მიუწვდება ხელი? ოდიშარია მინისტრია, თუ ვინ არის? გარდა ამისა, 62 000 ლარის ბენზინი რომ აქვს რექტორის მოვალეობის შემსრულებელს გახარჯული, ეს არ უნდა მოჰკითხოდა? ერთ წელიწადში ამდენი ბენზინი როგორ უნდა დახარჯო, არ უნდა გარკვეულიყო? ამ დროს უნივერსიტეტის ტექნიკურ-მატერიალური ბაზა რომ ხელუხლებელია, ეს არ იყო გასაკეთებელი?

**— გამოდის, რომ მარგველაშვილმა ჩააწყო რექტორობა?**

– კაცი მესამე ვადით გაიყვანა საბჭომ და რა ვთქვა? განათლების კანონში პირდაპირ წერია, რომ რექტორობის უფლება მხოლოდ ორი ვადით არის შესაძლებელი. მაგრამ გოგი მარგველაშვილი კანონზე ფეხებს იწმენდს, ეგ კაცი ეგრეა მიჩვეული და კბილებით არის სკამზე ჩაბღაუჭებული, რაც დღეს, ფაქტობრივად, დაადასტურა. მაგრამ ამის გაკეთებაში, სამწუხაროდ, ხელი შეუწყო ჩვენმა აკადემიურმა საბჭომ.

**— რას აპირებთ?**

– ბრძოლის გაგრძელებას. ყველაფერს ვიზამთ, რომ ეს კაცი ამ სკამს ჩამოვაშოროთ. რა რექტორობაზეა ლაპარაკი, როცა ამდენი მაგისი დანაშაული ჩამოგითვალეთ? ამას დაუმატეთ ის საქმეები, რასაც ვუჩივი და ჩაწყობის გარეშე ასეთი საქმეები ხდება? ჩააწყო კი არა, მთელი სამინისტრო უდგას ზურგს უკან და იმ კულტურის სამინისტროს ვინ უდგას, ეგ კიდევ სხვა საქმეა. მაგას ვდაობ, რომ სამართალი უნდა ამოქმედდეს და მაგისი ლობისტები არ მაინტერესებს. მე ერთი ლობისტი ვიცი: ესაა კანონის უზენაესი ნება და კანონზე მაღლა ვერავინ ვერ უნდა დადგეს. ჰოდა, გაიღვიძოს სახელმწიფომ და ივანიშვილმა რომ ჩამოაყალიბა „მოქალაქე", იმ ორგანიზაციას მივმართავ, პირად კონტროლზე აიყვანოს ეს საქმე და ამაზე კარგს ვერაფერს გაუკეთებს უნივერსიტეტს. გაირკვეს, როგორ მოხდა გოგი მარგველაშვილის გარექტორება, არ არის ეს საინტერესო?



**თამარ ოქრუაშვილი**
599 10-93-50

## ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში ჩასადები ფული ისევ განათლებაზე დაიხარჯება



განათლების მინისტრის, თამარ სანიკიძის განცხადებით, ინვესტიცია, რომელიც ამერიკის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში უნდა ჩადებულიყო, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებზე დაიხარჯება.

„შედეგი იქნება ბევრად კარგი, ვიდრე ამერიკის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი იყო, ვინაიდან ამჯერად ეს არის ძალიან კარგად გათვლილი. 30 მილიონის ინვესტირება მოხდება უმაღლესი განათლების ნაწილში, დაფინანსება იქნება სახელმწიფოს მხრიდანაც. საუბარია, ტექნიკურ და საინჟინრო მიმართულებების განვითარებასა და ხარისხის ამაღლებაზე", – განაცხადა სანიკიძემ.

მისივე განმარტებით, ამ პროცესში როგორც საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციები, ისე ადგილობრივი სახელმწიფო უნივერსიტეტები იქნება ჩართული.

„დიდი იმედი მაქვს, რომ წარმატებით დასრულდება შერჩევის მეორე ეტაპი, რომელიც ახლა მიმდინარეობს და თებერვლის ბოლოს ჩვენ გვეყოლება გამოვლენილი გამარჯვებული კონსორციუმი, რომელიც წარმოდგენილი იქნება ამერიკული უნივერსიტეტებისა და საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტების პარტნიორად", – აღნიშნა მინისტრმა.

რაც შეეხება იმას, რომ ამერიკულ ტექნოლოგიურ უნივერსიტეტს ამერიკული დიპლომი უნდა გაეცა, თამარ სანიკიძის თქმით, აღნიშნული მიმართულებით მუშაობა ახალი გეგმის ფარგლებშიც მიმდინარეობს.

„სწორედ აქეთ მივდივართ, რომ ამერიკულმა და ქართულმა უნივერსიტეტებმა საერთო პროგრამები შესთავაზონ სტუდენტებს, რომლის ფარგლებშიც გაიცემა სწორედ ამერიკული დიპლომი", – დასძინა სანიკიძემ. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ყაჩაღური დაჯგუფების წევრები დააკავეს




შსს-მ ყაჩაღური დაჯგუფების წევრები დააკავა. როგორც სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, შსს-ს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს, ოზურგეთისა და ჩოხატაურის რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად ყაჩაღური დაჯგუფების სამი წევრი 1979 წელს დაბადებული მალხაზ ჯ., 1984 წელს დაბადებული შალვას გ., და 1967 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი შალვა ჯ. ყაჩაღობის მომზადების, იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის, ტარებისა და გადაზიდვის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულები ერთ-ერთი დაკავებულის კუთვნილი ავტომანქანით ოზურგეთის რაიონის სოფელ ბახვში გადაადგილებისას დააკავეს.

მათი პირადი და ავტომანქანის ჩხრეკისას ამოღებულია „აკა 74"-ის მოდელის 2 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი 3 მჭიდითა და 105 საბრძოლო ვაზნით, 2 ნიღაბი, წებოვანი ლენტი, ხელთათმანი და 5 პლასტიკური ბორკილი. (ინტერპრესნიუსი)

## გრისტის დანიშვნა საგარეოსთან შეთანხმებული არ ყოფილა




საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის, დავით ზალკალიანის განცხადებით, ევროკავშირის მისიის ხელმძღვანელის მოადგილედ რაიან გრისტის დანიშვნა, საგარეო უწყებასთან შეთანხმებული არ ყოფილა. მისი თქმით, ევროკავშირთან 2008 წელს გაფორმებული შეთანხმება არ გულისხმობს საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, როდესაც ევროკავშირის მონიტორინგის მისიაში ესა თუ ის წევრი ინიშნება, რომ ეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან იყოს შეთანხმებული. აქედან გამომდინარე, უწყებას არანაირი ზემოქმედების ბერკეტი არ გააჩნია. ყოველგვარი ინსინუაციები და ბრალდებები იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს საგარეო უწყებამ არ გადადგა რაიმე ნაბიჯი ამასთან მიმართებაში, არის მცდარი და საზოგადოების შეცდომაში შეყვანა.

„მე მხედველობაში მაქვს ყოფილი დიპლომატების განცხადება. ამასთან დაკავშირებით, ვინ თუ არა მათ, ძალიან კარგად იციან, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს ამ სიტუაციაში გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხელი არ მიუწვდება და რბილად რომ ვთქვათ, არასამართლიანია, როდესაც საგარეო საქმეთა სამინისტროს დადანაშაულება ხდება. მინდა ასევე მკაფიოდ განვაცხადო, რომ ჩვენ ინტენსიურ მოლაპარაკებებში ვიმყოფებით ევროკავშირთან. საგარეო საქმეთა მინისტრს, მაია ფანჯიკიძეს შეხვედრები თბილისში ჰქონდა, ასევე ბრიუსელში ჩვენს მისიას აქვს შეხვედრები ევროკავშირის მისიასთან. ძალიან მნიშვნელოვანია ევროკავშირის ყოფნა საქართველოში, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ საკითხის მთლიანი კონტექსტი, რომ ევროკავშირი არის ერთადერთი საერთაშორისო მანდატის მისია და ძალიან ფრთხილი უნდა ვიყოთ შეფასებებში, რომ არ დავაზიანოთ ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობები", – განაცხადა ზალკალიანმა.

რაიან გრისტი 2008 წლის აგვისტოში ეუთო-ს მისიის თავმჯდომარის მოადგილე იყო და მან მაშინ საქართველო ცხინვალზე თავდასხმაში დაადანაშაულა. რაიან გრისტი რამდენიმე დღის წინ საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელის მოადგილედ დაინიშნა. (ინტერპრესნიუსი)

## „კანონზე მაღლა არავინ დგას“



ასე ეხმაურება საქართველოში აშშ-ის ელჩი, რიჩარდ ნორლანდი შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის, ვანო მერაბიშვილის საქმეზე სასამართლო განხილვის დასრულებას. მეორე მხრივ, ამერიკელი დიპლომატი იმასაც განმარტავს, რომ მნიშვნელოვანია უმაღლესი სტანდარტის სამართლებრივი პროცესის წარმოება, რათა საზოგადოებისთვის ის სარწმუნო იყოს.

„ალბათ, სასარგებლო არ იქნება ვერდიქტთან დაკავშირებით ჩემი შეფასება. დემოკრატიულ ქვეყნებში არავინ დგას კანონზე მაღლა. მნიშვნელოვანია ამავე დროს უმაღლესი სტანდარტის სამართლებრივი პროცესის წარმოება, რათა საზოგადოებისთვის ეს იყოს სარწმუნო“, – აღნიშნა ნორლანდმა. (ინტერპრესნიუსი)

## კალაძეს საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელობა ჯერ გადაწყვეტილი არ აქვს



ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე ადასტურებს, რომ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელობა შესთავაზეს, თუმცა, განმარტავს, რომ მას ჯერ გადაწყვეტილება მიღებული არ აქვს. მისივე ინფორმაციით, ასევე, არ არის გადაწყვეტილი, ვინ უხელმძღვანელებს რეგიონებში საარჩევნო შტაბებს.

„შემოთავაზება ნამდვილად იყო კოალიციის პოლიტსაბჭოსგან, რომ მე ვუხელმძღვანელო შტაბს, ამასთან დაკავშირებით, უახლოეს მომავალში გავაკეთებ განცხადებას, რა გადაწყვეტილებას მივიღებ. ჯერ გადაწყვეტილი არ მაქვს“, – განაცხადა კალაძემ.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



# გოგი თოფაძეზე გამოძიების დაწყებას მოითხოვენ

### რა განუცხადა დეპუტატმა „ალიას“

სოჭის ოლიმპიადაში მონაწილე ქართველი მოთხილამურის, იასონ აბრამაშვილის ოჯახი მათსა და გოგი თოფაძეს შორის არსებული სამართლებრივი დავის გამოძიებას მოითხოვს. აბრამაშვილების ადვოკატის, გაგი მოსიაშვილის განცხადებით, აბრამაშვილების ოჯახი და გოგი თოფაძე ბიზნესპარტნიორები იყვნენ, თუმცა, აბრამაშვილებს არანაირი სარგებელი არ მიუღიათ.

„ამ საქმის გამოძიება გაჭიანურდა. აბრამაშვილის ოჯახმა საკმაოდ სოლიდური ინვესტიცია განახორციელა, თუმცა მათ საკუთრებაში არანაირი ობიექტი არ არის. წილის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც გაფორმდა კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით, ამ ყველაფრიდან გამომდინარე, შესაძლოა, იყოს გაყალბებული. 2010 წელს იასონ აბრამაშვილი, რომელიც იყო დაარსებული შპს-ს პარტნიორი, აღმოჩნდა, რომ არანაირი წილის მფლობელი არ იყო. სანოტარო აქტის მიხედვით დგინდება, რომ 2008 წლის 4 აგვისტოს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით, ვითომდა ის გადის პარტნიორობიდან, ხოლო ამავე წლის 4 დეკემბერს ასევე სანოტარო აქტით, დგინდება, რომ ის არანაირი წილის მფლობელი არ არის და მისი წილი გაასხვისა. თუმცა, ჩვენი დოკუმენტებით დგინდება, რომ ორივე ამ თარიღის დროს ის საქართველოში არ იმყოფდებოდა. შესაბამისად, მისი მონაწილეობითა და მისი ხელმოწერით ნასყიდობის ვერანაირი ხელშეკრულება ამ პერიოდში ვერ შედგებოდა“, – განაცხადა ადვოკატმა.

მისივე თქმით, აუცილებელია ჩატარდეს ობიექტური გამოძიება, რათა დადგინდეს სიმართლე. მისივე ვარაუდით, ამ შემთხვევაში შეიძლება გამოიკვეთოს გოგი თოფაძის დანაშაული, რის გამოც აბრამაშვილების ოჯახს დიდი ზიანი მიადგა.

**„ალია“ პარლამენტის წევრს, გოგი თოფაძეს დეტალებში გასარკვევად დაუკავშირდა:**

– მამა-შვილი აბრამაშვილები ტყუილად ავრცელებენ ინფორმაციას, რომ მე თითქოს მათ წინაშე დამნაშავე ვარ. მე მაისში ამასთან დაკავშირებით პროკურატურაში საჩელი უკვე შევიტანე. იასონ აბრამაშვილი არის სპორტსმენი, რომელსაც მე, როგორც ფედერაციის პრეზიდენტი დახმარებას ვუწევდი და ვაფინანსებდი, 14 წლის მანძილზე საზღვარგარეთაც დამყავდა. დღეს მამამისი და იასონი იბრძვიან ჩემს წინააღმდეგ. ბიძინა ივანიშვილმა ბაკურიანში ააშენა კომპლექსი, მე გამომეყო 1100 მეტრი მიწა, რომ ამეშენებინა საბაგირო გზა და ყველაფერი, რაც საჭირო იყო სამთო-სათხილამურო სპორტისთვის, რაშიც შედიოდა თხილამურების გაქირავება, შეკეთება, ადამიანების მომსახურება თბილი სასმელებით და ა.შ. მაშინ მამა აბრამაშვილი მოვიდა ჩემთან და მითხრა, რომ ჩემი პარტნიორობა უნდოდა. იმ დროს ეგ ბაკურიანის გამგებელი იყო. მე დავთანხმდი, მარტო მეც გამიჭირდებოდა ამ ობიექტის აშენება და ვუთხარი, კი ბატონო, იყავი-მეთქი. საკმაოდ კარგი პროექტი იყო და დავიწყე ხარჯების გაღება, როგორც კი საქმე იქამდე მივიდა, რომ უკვე აბრამაშვილს, მამას, უნდა გაეღო ფინანსური ხარჯები, ჩვენ შეთანხმებულები ვიყავით 50/50-ზე, მან მითხრა, პროცესი ძალიან გამირთულდაო, ამიტომ არ შემიძლია, რომ პარტნიორი ვიყოო და გავდივარ ამ საქმიდანო. 5 თუ 7 ათასი ლარი ჰქონდა შემოტანილი და ჩემმა შვილმა ისიც გადაუხადა.

**— კი მაგრამ, თანხა თუ მიიღო, აბა, რას გედავებათ?**

– არ არის ისეთი ახალგაზრდა და მიამიტი, რომ დიდი თანხა ჰქონოდა ჩადებული და ისე გასულიყო წილიდან. წილიდან რომ გავიდა, სამი დღის შემდეგ დაიჭირეს. ძალიან სერიოზული ბრალდება ჰქონდა წაყენებული, ახლაც არის ეს საქმე, სხვათა შორის, მან ძალიან ბევრი ბაკურიანელის მიწა გაასხვისა უკანონოდ, რა თქმა უნდა, ამაში ხელს უწყობდა იქ ხელმძღვანელობაც. ზუსტად არ ვიცი, მგონი, 6 თუ 7 თვე იყო დაპატიმრებული, მერე საქმე მოგვარდა და გამოუშვეს. არ ვიცი, რა გააკეთა და რა გადაიხადა, მაგრამ გამოუშვეს. როცა დაკავებული იყო მამა აბრამაშვილი, მისი ვაჟიშვილი და დედა მოვიდნენ, 50% უკვე გადაფორმების პროცესში იყო და მითხრეს, არ გვინდა სადმე აბრამაშვილი გამოჩნდეს, რადგან საქმეა აღძრული მის წინააღმდეგ და 0,5% დაუტოვეთ ჩემს ვაჟიშვილსო. მე დავთანხმდი, 0,5% არაფერს წარმოადგენს, მით უმეტეს ჩემი მოწაფე იყო, უფრო სწორად მისი სპონსორი ვიყავი. შვილიც თანახმა იყო. ამავე პერიოდში ავსტრიაში მიდიოდა, სადაც ჩვენ სპორტსმენებისთვის სასტუმრო გვქონდა დაქირავებული, რათა 10 თვის მანძილზე თოვლზე ყოფილიყვნენ. ჩემი ვაჟიშვილი, რომელიც ჩემი პარტნიორია, წავიდა და ნოტარიუსში გაატარა ეს ყველაფერი. მაგრამ იმის გამო, რომ ადგილზე არ იყო ეს სპორტსმენი, ავსტრიიდან ერთი თვის შემდეგ ჩამოვიდა, ნოტარიუსმა გახსნა გრაფა, ჯერ ერთმა მოწილემ მოაწერა ხელი, მერე ჩამოვიდა ეს სპორტსმენი, ანუ მეორე მოწილე, და მოაწერა ხელი. მერე კიდევ სადღაც წავიდა და იქიდან რომ ჩამოვიდა, მივიდა ჩემს შვილთან და უთხრა, არც ის 0,5% მინდაო, არ მინდა აბრამაშვილის გვარი სადმე გამოჩნდესო. ამ პერიოდში მამამისი დაკავებული იყო. დღეს აბრამაშვილი აპელირებს იმით, რომ მისი შვილი აქ არ იყო იმ დროს, რაც ექსპერტიზამ კარგად დაუმტკიცა, რა როგორ იყო, რომ ჩამოვიდა და მერე მოაწერა ხელი.

**— აი, აბრამაშვილები საბუთებზე ხელმოწერაზე აპელირებენ, რა მოხდა სინამდვილეში?**

– მამა აბრამაშვილი რომ გამოვიდა პატიმრობიდან, მოვიდა ჩემთან და მითხრა, ძალიან ბევრი დამეხარჯაო (ალბათ, გადასახდელი ჰქონდა, რომ გამოუშვეს, მაშინ ასე ხდებოდა), მე ობიექტის პირველი სართული მქონდა აშენებული, საიდანაც თხილამურები და რაღაცები ქირავდებოდა და მითხრა, მე გავაქირავებ ცოტა ხნით, რომ ცოტა გამოვიდეო. მე ვუთხარი, რომ გადასახადი ექნებოდა, ამ ყველაფერს რომ გააქირავებდა, თხილამურების გაქირავება ძალიან შემოსავლიანი იყო, რადგან ის აქირავებდა, გადასახადიც მას უნდა გადაეხადა. მერე უკვე მე შემაწუხა საგადასახადომ, თქვენს ობიექტში მესამე წელია ვაჭრობს ვიღაც და უნდა გადაიხადოთო. მაშინ ვუთხარი, ან გამოდი და დავხუროთ, ან გადაიხადე-მეთქი. სწორედ ამის მერე ატყდა ეს დაპირისპირება. მშენებლობა არ გრძელდებოდა, რადგან დასამტკიცებელი მქონდა პროექტი. ამავე დროს გამგეობა არ მაძლევდა დოკუმენტს, რომ ეს ობიექტი ჩემი იყო, რადგან გამგეობასთან შეკრული იყო. ძალიან რომ გაჯიუტდა ვალიკო აბრამაშვილი, გავაგზავნე ჩემი ადვოკატი, პოლიცია გავფრთხილე, რომ დაეცალა ეს შენობა, რადგან მას არ ეკუთვნოდა. მერე გამოაძევეს და დაადეს ლუქი ამ შენობას. ამის მერე დაიწყო ჩივილი. მერე მე ვუჩივლე მაისში, რომ ასეთი ცილისწამება იყო, მაგრამ მაშინ მაინც ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები იყვნენ იქ და გადადეს ეს საქმე რამდენჯერმე. წლის ბოლოს კიდევ ვიჩივლე და დაიძრა საქმე. ამის გამოა, ალბათ, ასეთი გაცხარებული. ჩემ გარდა სხვებიც უჩივიან, დაახლოებით თორმეტი საჩელია მის წინააღმდეგ. ამას გარდა, მათ ტყის ფონდის მიწებიც გაყიდეს, მისი პარტნიორი ვიღაც პატიმარიც იყო. ძალიან მალე ეგ საქმე დამთავრდება, ყველაფერი გაირკვევა.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## კომპოზიტორი მერი დავითაშვილი გარდაიცვალა



საბავშვო კომპოზიტორი მერი დავითაშვილი გარდაიცვალა. თბილისის მერიის ცნობით, მერი დავითაშვილს ქაშუეთის ტაძრიდან 20 თებერვალს გამოასვენებენ. ჯერ დაზუსტებული არ არის, სად დაკრძალავენ კომპოზიტორს.

კომპოზიტორი და პედაგოგი მერი შალვას ასული დავითაშვილი 1924 წელს დაიბადა. იგი საქართველოს სახალხო არტისტი (1979) და შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1981) იყო. 1946 წელს დაამთავრა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია. მისი ხელმძღვანელი პროფესორი ა. ბალანჩივაძე იყო. 1968-92 წლებში იყო საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მდივანი. მისი ხელმძღვანელობით სისტემატურად ტარდებოდა საბავშვო მუსიკის კვირეულები. 1973 წლიდან კი თბილისის კონსერვატორიის პედაგოგია. დაწერილი აქვს ორი საბავშვო ოპერა – „ქაჯანა“ (1965) და „ნაცარქექია“ (1972), მრავალი საბავშვო სიმღერა, მუსიკა საბავშვო სრულმეტრაჟიანი და ნახატი ფილმებისთვის („მანანა“, „მტრობა“, „ხელმარჯვე ოსტატი“, „ჩხიკვთა ქორწილი“, „წუნა და წრუწუნა“ და სხვა). ასევე, სიმფონიური, კამერული და საგუნდო ნაწარმოებები, მუსიკა დრამატული სპექტაკლებისთვის და სხვა. 1997 წელს მერი დავითაშვილი ღირსების ორდენით დააჯილდოვეს. (ინტერპრესნიუსი)

## გარდაცვლილი გოგონას ახლობლებს თვითმკვლელობის მიზეზებზე საუბარი უჭირთ



ორხევის დასახლებაში, ჩანტლაძის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი კორპუსის საცხოვრებელ ბინაში, 18 წლის თაკო ყურშავიშვილის ცხედარი იპოვეს. გარდაცვლილის მეზობლების განცხადებით, სავარაუდოდ, გოგონამ თავი მოიკლა, თუმცა მიზეზებზე საუბარი უჭირთ.

„არაფერი ვიცით, რაც გავიგეთ, არის ის, რომ მან თავი მოიკლა. გაოგნებულები ვართ მომხდარით. მგონი, მშობლებმაც არაფერი იციან, რა მოხდა და რატომ მოიკლა თავი მათმა შვილმა“, – განაცხადეს მეზობლებმა.

გარდაცვლილის მეგობრებისა და ახლობლების თქმით, მომხდარის მიზეზებს ვერც ისინი ასახელებენ. ისინი აღნიშნავენ, რომ თაკო უპრობლემო ადამიანი იყო და მათთვის წარმოუდგენელია, რა შეიძლებოდა გამხდარიყო თვითმკვლელობის მიზეზი. მეგობრების ინფორმაციით, თაკო ყურშავიშვილი მეთორმეტე კლასში სწავლობდა. (ინტერპრესნიუსი)

## ვეტერანების საქმეთა სამსახურს გიორგი ფერაძე უხელმძღვანელებს

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორად გიორგი ფერაძე დაინიშნა. პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის შესაბამისი ბრძანება მთავრობის ვებ-გვერდზე დღეს გამოქვეყნდა.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 23 იანვრის №102 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაინიშნოს გიორგი ფერაძე საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორად“, – ნათქვამია პრემიერ-მინისტრის ბრძანებაში. (ინტერპრესნიუსი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



# კულუარები



# „ნაცები“ ტელეკომპანია „პიკის“ ხელში ჩაგდებას აპირებენ?



დარიუს იურგელავიჩუსი

„ნაციონალების“ გეგმის მიხედვით, ადგილობრივ არჩევნებამდე საინფორმაციო ომის გააქტიურების მიზნით, ისინი აპირებენ ტელეკომპანია „პიკის“ ხელში ჩაგდებას და ხელმძღვანელად კვლავ ალეკო ფარულავას დანიშვნას, რომელიც „ნაციონალების“ იდეოლოგიის გამტარებელი და მათი ნების აღმსრულებელია. მისი „დავერბოვკების“ რეალურ მიზეზად კი კულუარებში წამალდამოკიდებულება სახელდება, თუმცა ეს ფარულავას პრობლემაა, აქ მთავარი კითხვა არის ის, როგორ გახდა სპეცსამსახურების თანამშრომელი, ლიტვის მოქალაქე ტელეკომპანია „პიკის“ 60 პროცენტის მფლობელი? იყო თუ არა ის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ივანე მერაბიშვილს მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში?

დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ლიტვის მოქალაქეს მერაბიშვილთან მართლაც დიდი სიახლოვე ჰქონდა. ყოფილ პრემიერ-მინისტრ მერაბიშვილს ის გაფორმებული ჰყავდა სახელმწიფო კანცელარიაში და პრემიებსაც მისი ფაქსიმილეთი აძლევდა. არჩევნებამდე მერაბიშვილმა დარიუს იურგელავიჩუსს 5000 და 3 500-ლარიანი პრემიები გამოუწერა.

როგორც სარწმუნო წყაროებიდან ირკვევა, ტელეკომპანია „პიკის“ 60 პროცენტის მფლობელი, ლიტველი დარიუს იურგელავიჩუსი ლიტვის სპეცსამსახურების თანამშრომელია. ყოფილმა ჟურნალისტმა თანამდებობრივი კარიერა სწრაფად გაიკეთა და ლიტვის უსაფრთხოების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეობამდე მიაღწია. 2004 წელს სპეცსამსახურების პატრონაჟით დაინიშნა ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ. 2006-2007 წლებში დარიუს იურგელავიჩუსი ხშირად სტუმრობდა საქართველოს, ხან ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის რანგში, ხანაც ევროსაბჭოს დელეგაციის შემადგენლობაში, როგორც სამხედრო ექსპერტი.

ტელეკომპანია „პიკის“ შექმნის იდეა სააკაშვილს ეკუთვნის, რასაც შენელებული ბომბის ეფექტი უნდა ჰქონოდა. მიზანი ერთი იყო, ტელეკომპანია „პიკი“ უნდა ყოფილიყო ანტირუსული პროპაგანდისტული მანქანა. სააკაშვილს ზურგს ამ იდეაში ბერეზოვსკიც უმაგრებდა, რადგან მათ საერთო ინტერესი და საერთო მიზანი ჰქონდათ რუსეთთან ბრძოლაში, თუმცა ამ „იდეოლოგიურმა იარაღმა“ ვერ გაამართლა და ის მხოლოდ „მიშას ქალების“ სავანედ იქცა. ამისთვის ივანა მელაის მაგალითიც საკმარისია, მისი არაფრისმთქმელი გადაცემის შენახვა ბიუჯეტს მილიონები უჯდებოდა, იმიტომ რომ მელაი სააკაშვილის მეგობარი იყო.

2012 წლის ნოემბრიდან, მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვიდა, ტელეკომპანია „პიკი“ მაუწყებლობას წყვეტს იმ მიზეზით, რომ „პიკს“ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭომ 2013 წლის ბიუჯეტი არ დაუმტკიცა. 60%-ის მფლობელ დარიუს იურგელავიჩუსის კვალიც იკარგება. უცნობია, ოფიციალურად დატოვა თუ არა მან ქვეყნის საზღვრები. საქმე კი ისაა, რომ კომუნიკაციების კომისია მას დღემდე არ სთხოვს იმ ვალდებულების შესრულებას, რომელიც ტელეკომპანია „პიკის“ 60%-ის შეძენისას აიღო 1 მილიონ 500 ათასი ლარის ინვესტიციის ჩადების სახით. საინტერესოა, რატომ დუმს ამ საკითხზე კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია და რატომ არ სთხოვს მხარეს აღებული ვალდებულებების შესრულებას?

შპს „ტელეკომპანია პიკის“ კუთვნილი სიხშირე დღემდე თავისუფალი რჩება. არადა კომპანია ვალდებულია, დაიცვას სალიცენზიო პირობები და იმაუწყებლოს. „ნაციონალური მოძრაობა“ ამ დღეებში აპირებს, რომ „პიკის“ 60-პროცენტიანი წილი წამოიღოს და საკუთარი მიზნებისთვის საინფორმაციო ომი ამ არხიდან წამოიწყოს.

თუმცა, „ნაციონალური მოძრაობა“ საკუთარი ბინძური სცენარების ამ არხიდან პროპაგანდას, წესით, ვერ უნდა ბედავდეს, ამ სიხშირის სამართალმემკვიდრე რეალურად „ობიექტივია“. თავის დროზე ტელეკომპანია „ალანიამ“ წაართვა სიხშირე „ობიექტივს“, ტელეკომპანია „პიკმა“ მაროდიორულად მიითვისა ეს სიხშირე, რომლის უკანაც „ნაციონალური“ პოლიტიკა იდგა. ასე რომ, „ნაცებს“ ბრძოლა ამ სიხშირის სამართალმემკვიდრეებთან მოუწევთ და ეს ბრძოლა არ იქნება მარტივი.

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### სურსათის სააგენტომ რამდენიმე სუპერმარკეტი დააჯარიმა



სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ეტიკეტირების წესის დარღვევისთვის რამდენიმე სუპერმარკეტი 400 ლარით დააჯარიმა.

სააგენტოს ინფორმაციით, ქეთევან წამებულის გამზირზე მდებარე შპს „ვეჯინი 50“-ის მარკეტ „ვეჯინში“, მუხიანში შპს „მეტეორას“ სუპერმარკეტ „ვეჯინსა“ და შპს „კონტინენტალის“ უნივერსამში, სხვადასხვა დასახელების სურსათს არ ჰქონდა ქართული წარწერა, რაც, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 741-ე მუხლის თანახმად, 2014 წლის 1-ლი იანვრიდან ითვალისწინებს ჯარიმას 400 ლარის ოდენობით. (ინტერპრესნიუსი)

### ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარეს უფლებამოსილება შეუწყდა



ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარეს, თამაზ მარგველაშვილს უფლებამოსილება შეუწყდა. საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე დღის წესრიგში მხოლოდ ერთი საკითხი იყო, თამაზ მარგველაშვილის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადების განხილვა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება თავმჯდომარის მოადგილეს, ლევან კირკიტაძეს დაევალა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### ეკონომიკის სამინისტროში საპენსიო ოფისი იქმნება



საპენსიო რეფორმის ფარგლებში, ეკონომიკის სამინისტროში საპენსიო ოფისი იქმნება. ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის განცხადებით, საქმე ეხება სტრატეგია „საქართველო 2020“-ის პროექტის იმ ნაწილს, რომლის თანახმად, მთავრობის მიერ დაგეგმილი საპენსიო რეფორმა სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სისტემის ჩამოყალიბებას ითვალისწინებს.

„ძალიან რთულია ამ რეფორმის დაწყება, ვინაიდან საპენსიო რეფორმა, ზოგადად, არის ძალიან გრძელვადიანი პროცესი. ეკონომიკის სამინისტროში იქმნება საპენსიო ოფისი, რომელიც ზუსტ დროში გაწერს ყველა იმ ღონისძიებას, რომელზეც საუბრობდით, მათ შორის დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოძიებას“, – აღნიშნა მინისტრმა.

ცნობისთვის, „სტრატეგია 202“-ის თანახმად, მთავრობა გეგმავს საპენსიო სისტემის ეფექტიანობის ზრდის მიზნით, განახორციელოს დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლის შესაძლებლობების ანალიზი. მთავრობა გეგმავს, დააკავშიროს საბაზო საპენსიო დახმარების ზრდა ინფლაციის მაჩვენებელთან, რათა პროგრამის ფარგლებში შენარჩუნებული იყოს მსყიდველობითი უნარის არსებული დონე. (ინტერპრესნიუსი)

### მარგველაშვილს პარლამენტში 40-წუთიანი გამოსვლა ექნება



საქართველოს პრეზიდენტს პარლამენტში დაახლოებით 40-წუთიანი გამოსვლა ექნება. პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის. დავით პატარაიას განცხადებით, მარგველაშვილი საკანონმდებლო ორგანოს წინაშე წარდგება სიტყვით, რომელიც, კონსტიტუციის თანახმად, ქვეყნის მდგომარეობის მნიშვნელოვან საკითხებს შეეხება.

„საუბარი იქნება, როგორ ხედავს პრეზიდენტი პასუხს ქვეყნის წინაშე 2013 წლის განმავლობაში მდგარ გამოწვევებზე და მეორე მხრივ, მომავალში როგორ უნდა უპასუხოს საქართველომ ამ საკვანძო გამოწვევებს. ეს ყველაფერი იქნება უფრო მეტად ღირებულებით, ფასეულობით ასპექტებში მოცემული. გამოწვევების თემა ძალიან ფართოა, დაწყებული უსაფრთხოების საკითხებით, გაგრძელებული ჩვენი სუვერენიტეტისა და საგარეო პოლიტიკური თემატიკით და დამთავრებული ეკონომიკური საკითხებით. ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც დგას დღეს ჩვენი ქვეყნის წინაშე, გაანალიზებული იქნება და პრეზიდენტი ამ თემაზე ხედვას წარმოაჩენს“, – განაცხადა პატარაიამ.

პრეზიდენტის მოხსენების პროცედურები განხილვის სტადიაშია, თუმცა, საპარლამენტო მდივნის ინფორმაციით, გიორგი მარგველაშვილი დეპუტატების კითხვებზე პასუხისთვის მზად არის.

საგარეო ურთიერთობათა საკითხებში პრეზიდენტის მრჩევლის, ვანო მაჭავარიანის თქმით, გიორგი მარგველაშვილი გასული წლის აქტუალურ თემებთან ერთად სამომავლო გეგმებზეც ისაუბრებს.

„პრეზიდენტი წარმოადგენს საკუთარ ხედვას ქვეყნის განვითარებასთან დაკავშირებით. ეს თავისთავად მოიცავს იმ ახალ საკონსტიტუციო მოდელს, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ განისაზღვრა. წარმოდგენილი იქნება ხედვა ეკონომიკური, სოციალური განვითარების თვალსაზრისით და ქვეყნის უსაფრთხოების, თავდაცვისუნარიანობის ამაღლების თვალსაზრისით, ასევე, დაისმევა კონკრეტული აქცენტები საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტებისა და ქვეყნის გეოპოლიტიკური განვითარების კუთხით“, – განაცხადა მაჭავარიანმა.

მარგველაშვილის გამოსვლა საკანონმდებლო ორგანოში 21 თებერვალს იგეგმება. (ინტერპრესნიუსი)

## ექსკლუზივი

# რისთვის შეხვდა გიგა ბოკერია „ლიბერთი ბანკის“ შეფს „შერატონში“?

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი, „საქართველოს ბანკის“ ყოფილი შეფი, ამჟამად „ლიბერთი ბანკის“ ხელმძღვანელი, ლადო გურგენიძე რამდენიმე დღის წინ სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ „ნაციონალური მოძრაობის“ იდეოლოგს, გიგა ბოკერიას საიდუმლოდ შეხვდა და როგორც წყარო ამბობს, მიხეილ სააკაშვილის პარტიას ფინანსურად დაეხმარება. პრინციპში, ლადო გურგენიძე „ნაცებს“ ყოველთვის აფინანსებდა, ეს არახალია, მაგრამ ახლაც იგივეს გაგრძელებას აპირებს. როგორც „ალიას“ ინკოგნიტო წყარო ატყობინებს, ამავე შეხვედრაზე საუბარი იყო სამომავლო გეგმებსა და ხელისუფლებაში დაბრუნებაზე.

ეტყობა, გურგენიძეს დაავიწყდა, როგორ შეიქმნა „ლიბერთი ბანკი“ და ვის წაგლიჯა ის მიხეილ სააკაშვილმა. მას ისეთი ვალდებულებები აქვს სააკაშვილის წინაშე, სხვანაირად ვერც მოიქცევა – ბოლოს და ბოლოს, ის თავის დროზე ჯერ პოლიტიკურ ფიგურად აქცია, შემდეგ კი მილიონები ჩაუგდო ხელში.

მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, პირდაპირ საქმეზე გადავალ: „ლიბერთი ბანკის“ აქციების 51 პროცენტი ირინა ჯინჭარაძესა და გოგი ბურჭულაძეს ეკუთვნოდათ, მაგრამ, როგორც უკვე გითხარით, სააკაშვილმა ეს ადამიანები უპრაგონოდ დააყაჩაღა და ნაძარცვი ლადო გურგენიძეს გადასცა. რატომ მაინცდამაინც ეს ბანკი, გურგენიძე ხომ „საქართველოს“ ბანკში იყო „მომჯდარი“? იმიტომ, რომ „საქართველოს ბანკი“ მიხეილ სააკაშვილს მოუვიდა თვალში, ნიკა გილაურისთვის უნდოდა საჩუქრად და გააკეთა კიდეც. სხვათა შორის, როგორც ამბობენ, მაშინ გურგენიძე ვირზე შეჯდა, ბანკს არ დავთმობო, მაგრამ საქმეში ზურაბ ადეიშვილი ჩაერთო და ყურში ჩასჩურჩულა: თუ მაგ ვირიდან სასწრაფოდ არ ჩამოხვალ, პრობლემები შეგექმნება, საქმის გაქექვა მომიწევს, თავის დროზე „საქართველოს ბანკი“ კანონიერი გზით ჩაიგდე ხელში თუ არაო.

სად ჩანს „ლიბერთი ბანკის“ წართმევაში ვანო მერაბიშვილის ხელი? ვანომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, გიორგი ქადაგიძის ხელშეწყობით, ირინა ჯინჭარაძის კუთვნილი წილი ლადო გურგენიძეს გადასცა, დანარჩენი კი თვალის ასახვევად უცხოელებზე გაფორმდა. ირინა ჯინჭარაძემ პროკურატურას ჯერ კიდევ სექტემბერში მიმართა, როგორც ყველა, ისიც საკუთარი ქონების დაბრუნებას ითხოვს, მაგრამ ლადო მიდგა-მოდგა, პროკურატურაში „ახლობლები“ შეაწუხა, ერთი კვირა სადღაც გაქრა (ამბობენ, ლონდონს სტუმრობდაო) და წელში ისევ გაიმართა. თუ წყაროს ვენდობით, ახლა იმდენსაც ბედავს, სასტუმრო „მეტეხში“ საიდუმლო შეხვედრებს მართავს და თურმე რევანშისტულ მოძრაობას აფინანსებს.

სხვათა შორის, გურგენიძე თავის დროზე ჟურნალ „ტაბულასაც“ აფინანსებდა, გიგა ბოკერიას ოჯახისთვის მისი ფული უცხო არ არის, მან თამარ ჩორგოლეიშვილს 10-პროცენტიანი წილიც კი მისცა, მაგრამ როცა გიგას ლილა გაუხუნდა, ისევ წაართვა და იურისტ ოთარ კახიძეს გადასცა უსასყიდლოდ. გურგენიძემ იმ პერიოდში თავი იმართლა: სამწუხაროდ, „ტაბულა“ მოგებაზე ვერ გავიდა, როგორც საინვესტიციო პროექტი საინტერესო არ გამოდგაო. სააკაშვილ-ბოკერიასგან თავის დაღწევა ასეთი იოლი არ არის, ეს მშვენივრად იცის გურგენიძემ და ამიტომაც, ამ ეტაპზე ჩათრევას ჩაყოლას ამჯობინებს. მას უბრალოდ სხვა გზა არა აქვს, თუ უარს იტყვის „ნაციონალების“ დაფინანსებაზე, ბოკერია, ადეიშვილი და მერაბიშვილი პირებს მოაღებენ და ისეთებს იტყვიან, შეიძლება ეგრევე ციხეში ამოყოს თავი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჯერ კიდევ გვახსოვს სააკაშვილ-გურგენიძის მიერ გათამაშებული აფიორა, როცა ევროობლიგაციების სახით ჩვენს ქვეყანას ნახევარი მილიარდი დოლარი აჰკიდეს ვალად. გურგენიძე 2008 წელს აცხადებდა, აპრილში ევროობლიგაციების სადებიუტო ემისიის პროექტის განხორციელება იწყებაო:

„ჩვენ გვაქვს ასაშენებელი გაზსაცავი ქვეყანაში. ეს კიდევ უფრო ძვირი პროექტია. ეს ჩვენ გვაძლევს გაზის მოწოდების სტაბილიზაციისა და დივერსიფიკაციის საშუალებას. არ გამოვრიცხავ, რომ ევროობლიგაციებიდან შემოსული 500 მილიონის ნაწილი სწორედ ამ მიმართულებით დაიხარჯოს“.

სად არის გაზსაცავი, სად არის პროექტი და სად არის ეს 500 მილიონი, სად ჯანდაბაში დაიხარჯა? ეს ითქვა 2008 წელს, ომამდე რამდენიმე თვით ადრე. შემდეგ იყო ომი, „ფორსმაჟორული“ სიტუაცია და მორჩა, აღებული სესხი სხვა მიმართულებით გაქანდა – მიშას პიარი სჭირდებოდა, მიშას ომის „გაპრავება“ სჭირდებოდა და ყველაფერი ამ საბაბით ჩამოიწერა.

საოცარია, პროკურატურა და ფინანსთა სამინისტრო ამ ვალით რატომ არ ინტერესდებიან? სად დაიხარჯა ეს ფული, რა სიკეთე მიიღო ქვეყანამ? სხვათა შორის, იმ პერიოდში „ნაცბანდის“ კულუარებშიც კი ლაპარაკობდნენ, რომ ამხელა ვალის აღება სისულელე იყო. დღეს ძალიან ბევრს ლაპარაკობენ ეკონომიკის ვარდნაზე და ლარის გაუფასურებაზე, მაგრამ რატომღაც აღარავინ იხსენებს, 2012 წლამდე რაზე იჯდა ჩვენი ეკონომიკა – რაზე და საგარეო ვალებზე.



ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში ასეთი ვალის აკიდებაზე ეგრევე დაიწყებოდა გამოძიება და ყველას ჩააყუდებდნენ ციხეში – დაწყებული პრემიერ-მინისტრით, დამთავრებული ფინანსთა მინისტრით. ავი ენები ამბობენ, ამ ფულით გურგენიძემ თავის დროზე „სახალხო ბანკი“ იყიდაო. გამოდის, ტიპი ჩვენი ფულით გაბიზნესმენდა, ჩვენი ფულით გაყოყოჩდა და ბოლოს, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, გიგა ბოკერიასთან ერთად ხელისუფლებაში მობრუნებას გეგმავს.

**გელა ზედელაშვილი**
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### აღმოსავლეთ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები დაიწყო



„მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ ფარგლებში, აღმოსავლეთ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები დღეიდან დაიწყო. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, ხვნის პროცესი ქვემო ქართლის, კახეთის, შიდა ქართლისა და მცხეთა მთიანეთის რეგიონებში ერთდროულად მიმდინარეობს.

„ხელისუფლება სოფლის მეურნეობის განვითარების პოლიტიკას სისტემურად ახორციელებს. ხედვა და მიდგომები არის კომპლექსური და რეალურ შედეგზე ორიენტირებული. სწორედ ამიტომ სოფლის მეურნეობის სამინისტრო უკვე მეორე წელია, არაერთ უპრეცედენტო პროექტს ახორციელებს. „მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტით“ ქვემო ქართლის რეგიონში წელს დახმარებას 139 412 ფერმერი მიიღებს. სიების დაზუსტების შედეგად, 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების პროექტში ჩაერთვნენ ის ბენეფიციარები, რომლებმაც სარგებელი გასულ წელს სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ მიიღეს. წელს, საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტით საქართველოს მასშტაბით დაახლოებით 800 000-მდე მცირემიწიანი ფერმერი ისარგებლებს“, – აღნიშნა სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფიამ. (ინტერპრესნიუსი)

### საგანელიძესთან პრობლემა მოხსნილიაო




„ქართული ოცნების“ მარტვილის საარჩევნო შტაბის ყოფილი უფროსის, ზურაბ ბიგვავას განცხადებით, მასა და დავით საგანელიძეს შორის სიტუაციას შეგნებულად ძაბავდნენ. მისი თქმით, იყვნენ ადამიანები, რომლებიც სიტუაციას შეგნებულად ძაბავდნენ, როგორც გარედან, ასევე პარტიის შიგნიდან.

„ეს პრობლემა, საგანელიძესა და ჩვენს შორის მოხსნილია. ეს იყო შემოგდებული თემა, როგორც გარედან – „ნაციონალური მოძრაობიდან“ ჭორები, ასევე შიდა ინტრიგები“, – განაცხადა ზურაბ ბიგვავამ.

როგორც მან აღნიშნა, გარკვეულია იმ ადამიანების სახელები და გვარები, რომლებიც სიტუაციას შეგნებულად ძაბავდნენ და რამდენიმე დღეში „ქართული ოცნების“ გენერალურ მდივანთან და თავმჯდომარესთან შეხვედრაზე მათი ვინაობა დასახელდება.

მისივე განცხადებით, დავით საგანელიძის ფიტულის დაწვა მარტვილში, იყო პროტესტი „ქართული ოცნების“ მიმართ და არა პროტესტი დავით საგანელიძისადმი. როგორც მან აღნიშნა, მარტვილის მოსახლეობის განაწყენება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, ადგილობრივ დონეზე არაფერი შეცვლილა და თანამდებობებზე დაინიშნა ისეთი ხალხი, რომლებიც 1-ელ ოქტომბრამდე არ ჩანდნენ და მონაწილეობა არ მიუღიათ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ბრძოლაში.

26 ივლისს, კოალიცია „ქართული ოცნების“ მარტვილის საარჩევნო შტაბის ყოფილმა წევრებმა აქციაზე უმრავლესობის ლიდერის, დავით საგანელიძის ფიტული დაწვეს. როგორც აქციის მონაწილეებმა მაშინ განაცხადეს, დავით საგანელიძემ კოალიციაში ყოფილი „მხედრიონელები“ მიიყვანა. (ინტერპრესნიუსი)



# კულუარები

# რომელ მინისტრებს მოხსნიან აჭარაში?



აჭარის მთავრობაში სერიოზული ცვლილებები იწყება. ადგილობრივი არჩევნების წინ ცენტრალური ხელისუფლება უკვე ვა-ბანკზე მიდის და სამართლიანადაც, სხვა გამოსავალი, უბრალოდ, აღარ არის – აჭარაში ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაემხოს მურმან დუმბაძისა და „რესპუბლიკელების“ კლანური მმართველობის დასაწყისი. თუ ახლა არა, შემდეგ უკვე გვიანი იქნება. როგორც ინკოგნიტო წყარო აცხადებს „ალიასთან“ საუბარში, ამ დღეებში ინტენსიურად დაიწყება სამინისტროებისა და დეპარტამენტების გაწმენდა მათი ხალხისგან, თანამდებობებს დატოვებენ „ნაციონალებთან“ შეკრული ადამიანები.



ბათუმში დღესაც იხსენებენ, როგორ მოხდა ვითომ განხეთქილება მურმან დუმბაძესა და „რესპებს“ შორის მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებით – დუმბაძე ამ მშენებლობას მხარს არ უჭერდა, მაგრამ მოჯდა თუ არა პარლამენტში, ეგრევე შეიცვალა აზრი და სულით ისევ „რესპუბლიკელი“ გახდა. ახლა აჭარაში იმასაც ამტკიცებენ, რომ მურმანი თავის „მშობლიურ“ პარტიასთან ერთად უთხრის ძირს ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობას, უფრო სწორად, ცდილობს, თავის ინტერესებს დაუქვემდებაროს აჭარის მმართველობა. ინკოგნიტო წყაროს ინფორმაციით, თანამდებობას დატოვებს სოფლის მეურნეობის მინისტრი, ტარიელ ფუტკარაძე. მიუხედავად იმისა, რომ ამ ადამიანის მიმართ მოსახლეობაში უარყოფითი აზრია, თანამდებობას ინარჩუნებს მხოლოდ იმიტომ, რომ მურმან დუმბაძესთანაა დაახლოებული.

შემდეგი – განათლებისა და კულტურის მინისტრი, გიორგი თამამაიშვილი... ეს ადამიანი აბსოლუტურად უუნარო აღმოჩნდა. სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარედ დაინიშნა ადამიანი, რომელსაც სპორტთან არავითარი შეხება არ აქვს. ეს არის გიორგი ნაგერბაძე. ამას წინათ ამ დეპარტამენტმა შეაჯამა სპორტული მიღწევები აჭარაში, ყველაზე მეტი გამარჯვებული კი ჭიდაობის ფედერაციაში გამოვლინდა, მაგრამ საუკეთესოდ დასახელდა სათხილამურო ფედერაცია. აჭარლები იძახიან: სად ჩვენ და სად – თხილამურებიო?! ასე იმიტომ მოხდა, რომ ნაგერბაძე ვერ იტანს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტს (ალბათ, მურმან დუმბაძეს არ უძვრება ერთ ადგილას და ამიტომ).

მინისტრები და დეპარტამენტების თავმჯდომარეები უმოქმედოდ სხედან, მათ ლამის ყოველთვიურად ეზრდებათ ხელფასები, პრემიები და შესაბამისად, ლიპებიც, მაგრამ არჩილ ხაბაძე ვერ უშვებს სახლში ერთი მიზეზის გამო – ზოგი ვისი ნათესავია და ზოგი – ვისი. იგივე „სასტავში“ გადის ფინანსთა მინისტრი, დავით ბალაძე. ერთადერთი, სადაც დუმბაძეებსა და „რესპუბლიკელებს“ ხელი არ მიუწვდებათ (ამაზე ძალიან ნერვიულობენ), ეს ძალოვანი უწყებებია.

რაკი ძალოვნები ვახსენე, ბარემ აქვე გადავალ აჭარის პოლიციის სამმართველოს უფროსის, ვალერიან თელიას განთავისუფლების საკითხზე. მართალია, ამის თაობაზე უამრავი ჭორ-მართალი ვრცელდება, მაგრამ ერთი რამ ცხადია, თელია გადააყენეს მას შემდეგ, რაც ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა დავით მაღრაძის საავტორო გადაცემაში („საუბრები მწერალთა სახლიდან“) ამ საკითხზე გაკვრით ისაუბრა. კერძოდ, მან თქვა: აჭარაში თელიასთან დაკავშირებით რაღაც ინციდენტი მოხდა, რაც არ უნდა მომხდარიყოო:

„გადაცდომები იყო?! იყო მცირე... რაღაც თელიაზე თუ ვიღაცაზე ბათუმში, მაგრამ ტენდენციაა მთავარი, როგორ შეიძლება, ამხელა სტრუქტურაში შეცდომების გარეშე რამე მოიმართოს და ვიღაც თანამშრომელმა რაღაცა შეცდომა არ დაუშვას“?

დღეს იმაზეც მარჩიელობენ, ვალერიან თელია რეზერვში გაუშვეს თუ თბილისში გადმოჰყავთ? „ალიას“ დაზუსტებული ინფორმაციის თანახმად, ის თბილისში გადმოჰყავთ. სხვათა შორის, აჭარის მთავარ პოლიციელს არა და არ დაუვიწყეს „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თანამშრომლებთან მომხდარი ინციდენტი. მან ბათუმში საია-ს ერთ-ერთ თანამშრომელს სიგარეტი ესროლა და პერანგიც შემოახია, რატომ გზა არ დამითმეო?!

ვალერიან თელიას დავით თამაზაშვილი შეცვლის, რომელიც ბოლო დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის დეტექტივების სამმართველოს უფროსის მოადგილე იყო. უფრო ადრე კი თავდაცვის სამინისტროში გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ მუშაობდა. უკვე ბევრი დაიწერა იმაზე, რომ დავით თამაზაშვილის მამა „ქართული ხმების“ მომღერალი გახლდათ და საკმაოდ კარგი ავტორიტეტითაც სარგებლობდა.

რაც შეეხება ვალერიან თელიას, როგორც ასლან აბაშიძის ყოფილი პრესმდივანი, თამაზ ბაკურიძე ამბობს „ალიასთან“ საუბარში, ის სამმართველოში თითქმის ყველა თანამდებობაზე ნიშნავდა თბილისიდან ჩამოყვანილ კადრებს:

„ამას კიდევ აიტანდა კაცი, თელიას სიმთვრალეში აქვს ძალიან ცუდი ხასიათი და ამ დროს ყველაფერზეა წამსვლელი. მე პირადად მრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ის ხანდახან „იჩხირავდა“ კიდეც. ჩემი აზრით, ეს ყველაფერი ცენტრალურ ხელისუფლებაში ვიღაცამ გააანალიზა, ვიღაცამ იფიქრა და დაასკვნა, რომ ცვლილებები აუცილებელია. ამას არჩილ ხაბაძე თავისი ინიციატივით ვერ გაბედავდა. ახლა კულუარებში ძალიან დიდი ბრძოლა მიდის „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ, თუ „რესპუბლიკელებისა“ და „ნაციონალების“ ერთობლივ პარპაშს ბოლო არ მოეღო, ადგილობრივი არჩევნები კატასტროფული შედეგებით დამთავრდება. ასევე, წარსულს უნდა ჩაბარდეს დუმბაძე-ბერიძის ეპოქა. სწორედ ამიტომაა არეულობა აჭარის ხელისუფლებაში, რომ ამ ორმა ადამიანმა სკამები ვერ გაიყო“.

მოკლედ, წმენდა დაწყებულია. ვის გაუშვებენ კიდევ „დამსახურებულ“ პენსიაზე, ამას უახლოეს ხანში ვნახავთ.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პროკურატურამ ლევან ვარშალომიძე დაკითხა



აჭარის მთავრობის ყოფილმა თავმჯდომარემ ლევან ვარშალომიძემ ოთხსაათიანი დაკითხვის შემდეგ ბათუმის პროკურატურა დატოვა.

ვარშალომიძის განმარტებით, პროკურატურა ხულოს ქუჩაზე მდებარე შენობის გასხვისების დროს უფლებამოსილების გადამეტებას ედავება.

„მოწმის სახით ვიყავი დაბარებული. არჩევნები მოდის და არჩევნების წინა პერიოდში ტერორი, ალბათ, უფრო მეტად გაიზრდება. აქედან გამომდინარე, არ გამოვრიცხავ ბევრი ჩვენი აქტივისტისა და პარტიის წევრების დაბარებასაც. კარგად გვახსოვს ერთი წლის წინათ დადგმული შოუ, რომელიც დღესაც გრძელდება. მე მართლა მიხარია, რომ ვცხოვრობ იმ ქალაქში, რომელიც ბოლო ათი წლის განმავლობაში ავაშენეთ. ყველა ობიექტი, რომელიც ჩვენ მიერ იქნა გასხვისებული და ჩვენს დროს აშენდა, მიხარია და ვამაყობ ამით. სამწუხაროდ, დღევანდელ მთავრობას ამ წელიწად-ნახევრის განმავლობაში რომ არაფერი აქვს გაკეთებული, უნდა ამის გადაფარვა და ღმერთმა ხელი მოუმართოს. კონკრეტულად, საქმე ეხება ძველ ბათუმში, ხულოს ქუჩაზე, №6-ში მდებარე შენობის გასხვისებისას ჩემი უფლებამოსილების გადამეტებას. ჩვენს დროს გასხვისებული საინვესტიციო ობიექტი ახალმა მთავრობამ გააგრძელა, კითხვა ისმის, ჩვენთან რა გინდათ?! ასე რომ, მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენ გავაგრძელებთ ბრძოლას, ბათუმში ვართ და პროკურატურის მხრიდან ნებისმიერ კითხვაზე პასუხის გასაცემად მზად ვართ“, – აღნიშნა ვარშალომიძემ. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## უწყებათაშორისი საბჭოს სხდომა გაიმართა



საქართველოს ფინანსთა მინისტრის, ნოდარ ხადურის თავმჯდომარეობით, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი უწყებათაშორისი საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა.

ფინანსთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, საბჭოს წევრებმა ისაუბრეს იმ შენიშვნებისა და წინადადებების შესახებ, რომლებიც 2014-2017 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში გამოითქვა სხვადასხვა უწყებების მხრიდან. სტრატეგიის ძირითადი ამოცანაა, საქართველოში საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის სისტემის ფორმირება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებული დანაშაულების პრევენციას, მათი რაოდენობის კლებას და მათ დროულ გამოვლენას. (ინტერპრესნიუსი)

## თანამდებობა იმუნიტეტი ვერ იქნება




საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე, კახა კოჟორიძე მერაბიშვილის მიმართ სასამართლოს დღევანდელ გადაწყვეტილებას გამოეხმაურა. მისივე თქმით, ის გადაწყვეტილების შეფასებას ვერ გააკეთებს, რადგან ჯერ საქმე უნდა შეისწავლოს.

„ჩვენ შეიძლება ვილაპარაკოთ და შევაფასოთ წმინდა სამართლებრივი კუთხე, პოლიტიკურ შეფასებას კი ვერ გავაკეთებ. კანონი ამბობს, რომ ვერც ერთი თანამდებობა ვერ იქნება იმუნიტეტი, თუ პირმა ჩაიდინა დანაშაული. როცა მაღალი თანამდებობის პირზეა საუბარი, მოქმედზე თუ ყოფილზე, საგამოძიებო ორგანომ უფრო მაღალი მონდომება უნდა აჩვენოს, რომ მათ დაუსაბუთდეთ ჩადენილი დანაშაულები. მტკიცებულებები მაღალი სტანდარტით უნდა დადასტურდეს, რომ მათ ნამდვილად ჩაიდინეს დანაშაული, კითხვის ნიშნები არ უნდა გაჩნდეს. უშუალოდ გადაწყვეტილებას რაც შეეხება, მე ამაზე შეფასებას ვერ გავაკეთებ, იურისტმა ჯერ საქმე უნდა შეისწავლოს, შეფასებები შემდეგ უნდა აკეთოს“, – განაცხადა კოჟორიძემ. (ინტერპრესნიუსი)

## მსოფლიო ბანკი საქართველოს სტრატეგიას დადებითად აფასებს




მსოფლიო ბანკი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ პროექტს დადებითად აფასებს.

„ფინანსთა მინისტრთან ძალიან ნაყოფიერი შეხვედრა მქონდა. განვიხილეთ ის პროგრესი, რომელსაც საქართველომ წლების განმავლობაში მიაღწია, ვისაუბრეთ მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობის საკითხებზე. ძალიან მოხარული ვარ, რომ მთავრობის სტრატეგია ასახავს იმ სამ მნიშვნელოვან სფეროს, რომლის განვითარებაც ჩვენც გვქონდა გუნებაში, ეს არის ინტეგრაცია საერთაშორისო ბაზრებზე, კონკურენციის ამაღლება და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა“, – განაცხადა ბანკის წარმომადგენელმა ჰანს თიმერმა. (ინტერპრესნიუსი)

## ავტობუსის მძღოლების გაფიცვა გრძელდება



ბათუმში შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ ავტობუსის მძღოლები კვლავ გაფიცულები არიან. საწარმოს ადმინისტრაცია სპეციალურ განცხადებას ავრცელებს, სადაც აღნიშნავს, რომ, თუ გაფიცულ მძღოლებთან შეთანხმება არ შედგება, სარეზერვო რესურსს გამოიყენებს.

ავტოტრანსპორტის მარკეტინგის სამსახურის უფროსის ბესიკ დათიაშვილის განცხადებით, მძღოლებს შორის არიან ისეთებიც, რომლებსაც უნდათ მუშაობის განახლება, თუმცა დაძაბულობას ერიდებიან.

„მოლაპარაკებები თუ არ შედგება და მძღოლები ისევ განაცხადებენ, რომ დირექტორის წასვლამდე არ დაუბრუნდებიან სამუშაოს, მივმართავთ სარეზერვო მძღოლებს. ადმინისტრაცია ყველაფერს ვაკეთებთ, რომ არ მოხდეს დაძაბულობა. მძღოლებს შორისაც არიან ისეთები, რომლებსაც უნდათ მუშაობა, მაგრამ დაპირისპირებას ერიდებიან და არ გადიან სამუშაოზე“, – აღნიშნა დათიაშვილმა.

მძღოლები კი ამტკიცებენ, რომ ისინი ერთსულოვნები არიან და ადმინისტრაცია სარეზერვო რესურსს ვერ გამონახავს: „რეზერვში მყოფი მძღოლებიც ჩვენ გვერდით არიან. თუ ვინმეს სხვას მოიყვანენ და დაასაქმებენ, ამაზე პროტესტს გამოვთქვამთ“, – აღნიშნა ზვიად დუმბაძემ.

მძღოლები მეექვსე დღეა, გაფიცულები არიან. გაფიცულებს შორის ორმა მძღოლმა შიმშილობა სამი დღის წინ დაიწყო. მათგან ერთს, ნუგზარ გვიანიძეს ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუუარესდა, რის გამოც ადგილზე სასწრაფო სამედიცინო ბრიგადა გამოიძახეს. გაფიცულების მთავარი მოთხოვნაა, საწარმოს დირექტორის, გია ლორიას სამსახურიდან განთავისუფლება. (ინტერპრესნიუსი)

# ექსკლუზივი

# „რესპუბლიკურ პარტიაში“ განხეთქილება დაიწყო?



რამდენიმე დღის წინ „რესპუბლიკური პარტიის“ ოფისში დიდი ხმაური ყოფილა. როგორც თვითმხილველები ამბობენ, სიტუაცია მკვეთრად დაძაბულია და პარტიის წევრები ერთმანეთის თვალთვალითა და მიყურადებით ყოფილან დაკავებული. როგორც „ალიას“ წყარო ამბობს, სიტუაცია ძალაუფლების მოსაპოვებლად აქტიურ ფაზაში შევიდა. წყაროს თქმით, პარტიაში უკვე ორი „კლანი“ გამოიკვეთა – დავით უსუფაშვილისა და დავით ბერძენიშვილის მომხრეები თურმე ცოცხლად ჭამენ ერთმანეთს.

აი, რას გვიამბობს წყარო:

**— რატომ მოხდა დაპირისპირება პარტიაში?**

– მოკლედ, ვიღაცამ რაღაც გვერდი შექმნა „ფეისბუკში“. ამ გვერდზე თურმე სულ „რესპუბლიკელების“ ლანძღვა-გინება მიდიოდა,

**— მერე რა თქვა ბენდელიანმა?**

– ეს გოგო ამტკიცებდა, მე კავშირი არ მაქვს ამ გვერდთანო, მაგრამ არ დაუჯერეს. სარევიზიო კომისიის საბჭოზე გაუტანიათ საკითხი. ეს გოგო ითხოვდა თურმე, ჩემი საკითხი კომიტეტმა განიხილოსო, ანუ ლიდერებმაო.

**— რას წერდნენ ასეთს ამ გვერდზე?**

– ამ გვერდზე უწერდნენ ახმეტის საკრებულოს ყოფილ თავმჯდომარეს, ზაქარია ქინქლაძეს რაღაცებს. ჰოდა, ოღონდ ვისაც ლანძღავდნენ, იყვნენ ბერძენიშვილების მომხრეები. გაჩნდა ეჭვები, დაიწყეს შიდა მოკვლევა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ეჭვი მიიტანეს იმაზე, ვინც ე.წ. უსუფაშვილის ფლანგს წარმოადგენდა. საქმე ეხება „რესპუბლიკური პარტიის“ წევრს, ირმა ბენდელიანს. ცნობისთვის, ირმა ბენდელიანი არის საკრებულოს დეპუტატის, ბესო ბენდელიანის ძმა, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრია, მაგრამ მისი და სულ მუდამ „რესპუბლიკურ პარტიაში“ იყო.

დააბრალეს ამ ირმა ბენდელიანს, რომ შენი გვერდია და შენ აწერინებ ვილაცებსო. ეს ქინქლაძე დავით ბერძენიშვილის „კლანიდანაა“, ბენდელიანი კი უსუფაშვილის ფანია, ნათელმირონობაც აქვთ. იმ დღეს მისი ძმა რომ იყო ინგა გრიგოლიასთან გადაცემაში, დარჩენილ „რესპებს“ ერთი ამბავი აუტეხავთ „ფეისბუკზე“, ლანძღავდნენ თურმე ბესო ბენდელიანს.

ეს ბესო ბენდელიანი კი იყო „ნაცებთან“ 2010 წლის საკრებულოს არჩევნებში გლდანში, მაგრამ ყველა აქებს, კარგი კაციაო, ახლა „ოცნებაშიაო“ და გლდანში ისევ მოიგებს, ვისი სახელითაც არ უნდა იყაროს კენჭიო. არ ვიცი, შეიძლება „რესპებს“ იქ ახლა თავისი კანდიდატი უნდათ ადგილობრივ არჩევნებზე. მაგათთვის დედა, მამა, ღმერთი და სამშობლო მათი პარტიაა და თუ ვინმესთვის ასე არ არის, ის მოღალატეა. ახლა ადგილობრივი არჩევნების წინ „რესპები“ შეეცდებიან, ყველგან თავისი კადრი გაიყვანონ. მათთვის პარტია უპირველეს ყოვლისაა. ერთი უსუფაშვილია შედარებით კარგი კაცი და ბევრი მისი ხათრით ითმენს დათო ბერძენიშვილის ბოღმას.



უსუფაშვილი კულუარებში ცდილობს, დაალაგოს ურთიერთობები კოალიციაში. ჭკვიანი კაცია, მაგრამ დათო ბერძენიშვილი ბოღმა და ამბიციურია, არავის უყვარს თავის პარტიაშიც. ეს სამნიძეც, ვინც ახლა „რესპუბლიკური პარტიის“ თავმჯდომარეა, მისი კადრი ყოფილა. რეალურად სამნიძეს არაფერს ეკითხებიან თურმე, ყველაფერს ბერძენიშვილი წყვეტს. ახლა არჩევნების წინ ოღონდ თავისი გარემოცვის წევრები ჩასვან და ყველაფერზე წავლენ. მოკლედ, პარტია ვერ დაულაგებიათ და ქვეყანას დაალაგებენ ეგენი? დათო ბერძენიშვილისთვის პარტიის ღალატი სამშობლოს ღალატზე მეტია. ამ პარტიის გარეშე არაფერს წარმოადგენს და იმიტომ. იძახონ ახლა, მოაზროვნეების პარტია ვართო.

**„ალია“ ამ არეულობის მთავარ მიზეზს, ირმა ბენდელიანს დაუკავშირდა. მან წყაროს ინფორმაციას ჭორი უწოდა: „არანაირი სარევიზიო საბჭო ჩემთან დაკავშირებით არ შეკრებილა, რა ხდება ჩემს ზურგსუკან, არ ვიცი“. — გვითხრა მან.**

სამაგიეროდ, მასთან დაკავშირებული სკანდალის მთავარმა გმირმა, ახმეტის საკრებულოს ყოფილმა თავმჯდომარემ, ზაქარია ქინქლაძემ სრულიად საწინააღმდეგო პოზიცია დააფიქსირა:

– ირმა ბენდელიანი გაუშვეს თუ არა „რესპუბლიკური პარტიიდან“, არ ვიცი, მაგრამ მისი გაშვების მიზეზი მე ნამდვილად არ ვიქნები, რადგან ამას სხვა მიზეზი აქვს. სხვა საკითხზე იყო მსჯელობა, მე ამ მსჯელობის არც ავტორი ვყოფილვარ და არც ინიციატორი. თვითონ ბენდელიანი იყო მაგის შემოქმედი. მე რა შუაში ვარ, თავად დაარღვია პარტიული დისციპლინა და არასწორად იმოქმედა. მარტო „ფეისბუკზე“ კი არ გააკეთა გვერდი, აქ სხვა მიზეზიც იყო.

**— რა მიზეზი იყო კიდევ?**

– თანაპარტიელთან დაკავშირებით ცუდი საქციელი ჩაიდინა.

**„ალია“ დავით ბერძენიშვილთან დაკავშირებასაც ცდილობდა. იმის მიუხედავად, რომ „მესიჯიც“ მივწერეთ, ტელეფონი რამდენჯერმე გაგვითიშა და არც ერთხელ არ გვიპასუხა. ასე რომ, ვერ შევძელით იმის გარკვევა, რა პოზიცია აქვს „კლანის“ ბოსს „რესპუბლიკურ პარტიაში“ არსებული დაპირისპირების შესახებ.**

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## 20 თებერვლიდან აბიტურიენტთა რეგისტრაცია იწყება



გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის, მაია მიმინოშვილის განცხადებით, „20 თებერვლიდან ვაცხადებთ რეგისტრაციას. ერთი თვე გასტანს რეგისტრაცია აბიტურიენტებისთვის ასევე, იმ პედაგოგებისთვის, რომლებიც სასერტიფიკაციო გამოცდებში მონაწილეობენ და იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც საგრანტო კონკურსში აპირებენ მონაწილეობას. 21 მარტის ჩათვლით იქნება რეგისტრაცია“, – აღნიშნა მიმინოშვილმა.

მისივე განმარტებით, გამოქვეყნდება საინფორმაციო ბუკლეტი სიახლეების თაობაზე, რომლებიც დარიგდება სკოლებში და გაიყიდება ჯიხურებში, ასევე, ელექტრონული ვერსია განთავსდება შეფასებისა და ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე.

„ხელოვნების გამოცდა ემატება არჩევითი საგნების ჩამონათვალს, ასევე, უცხო ენის გამოცდაზე მოსმენის ნაწილი შევთავაზეთ აბიტურიენტებს. გარდა ამისა, კომპეტენციის მინიმალური ზღვარი განისაზღვრება ეგრეთწოდებული გაიგივებული ქულით და საგრანტო თანხის განაწილება მოხდება ორ ბლოკად“, – აღნიშნა მიმინოშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## იტალიაში დაკარგული საქართველოს მოქალაქის შესახებ ინფორმაციას სწავლობენ



იტალიაში, საქართველოს საელჩოსა და საკონსულოში საქართველოს მოქალაქის დაკარგვასთან დაკავშირებით ოფიციალური შეტყობინება არ შესულა. საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის, დავით ზალკალიანის განცხადებით: „ვსწავლობთ ამ საკითხს. ჩვენთვის ცნობილია ეს ფაქტი და იტალიაში, რომში საქართველოს საკონსულო ამოწმებს ამას შესაბამის სტრუქტურებთან“, – განაცხადა ზალკალიანმა.

51 წლის ლალი ნამჩავაძე, რომელიც იტალიაში, ფლორენციასთან ახლოს მდებარე ქალაქ ლასტრა სინიაში მოხუცის მომვლელად მუშაობდა, მესამე დღეა, დაკარგულია. დაკარგული ქალბატონის ქალიშვილის, ქეთევან შანიძის ინფორმაციით, ლალი ნამჩავაძე 12 თებერვალს დაიკარგა. მისივე თქმით, დედამისს ჰქონდა თვითმკვლელობის მცდელობა. ქალბატონი მდინარე არნოს ჯებირზე ავიდა და თვითმკვლელობა სცადა, თუმცა მაშინ მისი გადარჩენა მოხერხდა.

ლალი ნამჩავაძე იმერეთის რეგიონიდან არის. ის 2012 წელს ჩავიდა იტალიაში და სხვადასხვა ოჯახში მომვლელად მუშაობდა. მას შემდეგ, რაც მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა გაუარესდა, ის შვილთან, ქეთევან შანიძესთან ერთად ცხოვრობდა. (ინტერპრესნიუსი)

## „ნაცმოძრაობა“ მარგველაშვილის პარლამენტში გამოსვლას არ დაესწრება?

„ნაციონალური მოძრაობა“ პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლას შესაძლოა, არ დაესწროს. ამასთან დაკავშირებით პარტიაში კონსულტაცია მიმდინარეობს.

დეპუტატ გია თევდორაძის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუკი ისინი დაესწრებიან პრეზიდენტის გამოსვლას, მათ შეკითხვები ექნებათ ქვეყნის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით და ასევე იმ ეკონომიკურ ცვლილებაზე, რომელიც ქვეყანაში მიმდინარეობს. თევდორაძის განცხადებით, ქვეყანაში ეკონომიკური სიტუაცია დღითი დღე უარესდება, ამიტომ მნიშვნელოვანი და აუცილებელია ამასთან დაკავშირებით ინფორმაცია თვითონ ქვეყნის მთავარსარდლისგან მოისმინონ. (ინტერპრესნიუსი)

# ექსკლუზივი

**სად იმყოფება საკრებულოს თავმჯდომარე და რა მიზნით დატოვა მან სამუშაო? რატომ „არ ახსოვს“, რომ ნავთობგადამამუშავებელ კომპანიაში წილის 33%-ს ფლობს?**

**„ალიას“ აცნობეს, რომ საკრებულოს თავმჯდომარე, ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲨᲘᲮᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ბოლო დროს „თბილ ქვეყნებს“ რამდენიმეჯერ სტუმრობდა. ამ მომენტისთვის ის დუბაიში იმყოფება და შეიხს ხვდება. რა მიზნით და რა პრობლემებს აგვარებს შიხიაშ-**

მალე ამ სამსახურიდან, შეიძლება, პოლიტიკაში საერთოდ აღარ ვიყო და თავი აბა, რით ვირჩინოო. ჰოდა, ეს კომპანია, რომელიც ვითომ არაფერს აკეთებს, ახლა აამუშავა. დუბაიში შეიხთან შესახვედრად წავიდა. გზა ისედაც გაჭრილია უკვე, მიშას დროს შეიხს ბევრი ქართველი მაღალჩინოსანი სტუმრობდა და ხალხმა ნახევარზე მეტი არ იცის, რამდენ საჯარო პირს აქვს ბიზნესი ამ მიმართულებით. ჰოდა, შიხიაშვილს ველოსიპედის მოფიქრება რაში სჭირდებოდა, აითვისა მეთოდები და მომავალში „პურის ფული“ გარანტირებული აქვს. ასე რომ, საკრებულოს თავმჯდომარის მომავა-



# სად და რატომ გაუჩინარდა ირაკლი შიხიაშვილი?



**ვილი, ამაზე ერთ-ერთი წყარო გვიამბობს:**

– ირაკლი შიხიაშვილი ცრუობს, როცა „პოსტსკრიპტუმში“ განაცხადა, რომ კომპანიაში, რომლის მთავარი ფუნქცია ნავთობნარჩენების გადამუშავებაა და რომლის 33%-საც ფლობს, არანაირი საქმიანობა არ წარმოებს. პირდაპირ გეტყვით, ეს ის კომპანიაა, რომელიც საკრებულოს თავმჯდომარის მომავალი პერსპექტივაა.

— **რას გულისხმობთ?**

– რას და, საკრებულოს თავმჯდომარე პირად საუბრებში თურმე სულ იმას იმეორებს, ისე „მომქისტავენ“ ლი ბიზნესშია. სანამ დროა, ის ამ თანამდებობას კავშირების გასაბმელად და გასამყარებლად იყენებს, მერე კი პირდაპირ ბიზნესში გადავა. ხშირად დადის მივლინებებშიც ისე, რომ საქმის კურსში არ აყენებს არავის, მის მივლინებას კი, ცხადია, საკრებულო აფინანსებს. ამაზე დიდ სისულელეს ვინმე იტყოდა? კომპანიებში წილი აქვთ და არ გვახსოვსო, დეკლარირებული არ აქვთ ქონება. ლუსტრირება მოხდა უკვე მისი და მისი ცოლის. ახლაც უარყოფენ, რომ დუბაიში არაა. მივლინება ხომ ოფიციალურად უნდა გაფორმდეს და რას გააფორმებენ, რაც არ არის?

**ინფორმაციის გადასამოწმებლად „ალია“ საკრებულოს თავმჯდომარის პრესსამსახურის უფროსს, ᲠᲣᲡᲐ ᲣᲨᲘᲙᲘᲨᲕᲘᲚᲡ დაუკავშირდა:**

— **რუსა, საკრებულოს თავმჯდომარე მართლა დუბაიშია?**

– არა, დუბაიში არაა, სომხეთშია, პირად საქმეზე.

— **ნებისმიერ ქვეყანაში პირად საქმეზე წასვლა საჯარო პირს სამუშაო დღეებში არ ეკრძალება? როგორაა კანონით ეს საკითხი რეგულირებული, მივლინება აქვს გამოწერილი?**

– ეს ზუსტად არ ვიცი, მაგრამ სომხეთში შაბათ-კვირას იყო წასული და დილით უნდა ჩამოფრენილიყო. როგორც ჩანს, გადაედო და საღამოს ჩამოდის. არასწორია ინფორმაცია, რომ შიხიაშვილი დუბაიშია. ჯანმრთელობის პრობლემები აქვს.

— **რა პრობლემები?**

– დიაბეტი აქვს და გული აწუხებს, ცოტა ხნის წინ ოპერაციაც გაიკეთა, საკრებულოში გახდა ცუდად. ახლა ზუსტად არ ვიცი, რა პროფილის ექიმთანაა წასული, ეს დეტალები ჩემთვის უცნობია.

**„ალია“ „საზოგადოებრივი ინიციატივების ცენტრის“ ხელმძღვანელს, ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲚᲝᲜᲢᲡ დაუკავშირდა იმაში გასარკვევად, რამდენად სწორია, როცა საჯარო მოხელე სამსახურისთვის განკუთვნილ დროს პირადი საკითხების მოსაგვარებლად ქვეყნიდან გადის:**

– საინტერესოა ეს საკითხი, თუ საჯარო მოსამსახურე, პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირი საზღვარგარეთ ვიზიტებს აფინანსებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ის აუცილებლად უნდა იყოს გამართლებული და მიზნობრიობაც უნდა ჩანდეს. თუ იგივე საჯარო მოსამსახურე თავს აძლევს უფლებას და სახელმწიფო ბიუჯეტიდან აფინანსებს პირად საქმეზე მივლინებებს, ეს კრიმინალია და პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს შესაბამისი ორგანოების მიერ. საერთოდ, ჩემთვის გაუგებარია, პირად საქმეებზე სირბილის დრო აქვს ჩვენს ხელისუფლებას? მაშინ როცა უამრავი დაპირება მისცეს ამომრჩევლებს და თითქმის არც ერთი მათგანი არ შესრულებულა, მინიმუმ უხერხულია პირადი საქმეების გამო ამ ადამიანებმა გააცდინონ სამსახურის დრო. საქართველოში არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ პირადი საქმეები და სახელმწიფო საქმეები ერთად ვაგვაროთ, დრო არ ითმენს უამრავი ადამიანი სიკვდილის მიჯნაზე დგას, დედაქალაქში უამრავი პრობლემაა, ინვესტიციები შეჩერებულია და უპერსპექტივოდ გამოიყურება, საუბარია იმაზე, რომ ნანატრი სამართლიანობის აღდგენა ნამდვილი ოცნება იყო და ოცნებად დარჩა.

**ჟანა ასანიძე**

**558 00 16 16**

## მერაბიშვილს „ქართული ოცნების“ სიკეთით უსარგებლია



საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ეკა ბესელია ვანო მერაბიშვილის განაჩენთან მიმართებაში პოლიტიკურ მოტივს კატეგორიულად გამორიცხავს და განმარტავს, რომ, პირიქით, დღევანდელი გადაწყვეტილებით სასამართლოს დამოუკიდებლობა დადასტურდა.

„პირველი, რაც სასამართლო გადაწყვეტილებით გამოირიცხა, არის ზუსტად ის, რომ პოლიტიკური მოტივაცია ახლდა ამ საქმეს. დადასტურდა, რომ ეს არის კონკრეტული სისხლის სამართლის დანაშაული და რომ არანაირი გავლენა სასამართლოზე ხელისუფლებას არ აქვს. ასე რომ არ ყოფილიყო, ან დღესაც იგივე სისტემა არსებობდეს, რაც მერაბიშვილის დროს იყო, მაშინ, დარწმუნებული ვარ, იმავე საქმეზე, იმავე ბრალდებით, იმავე მტკიცებულებებით სასჯელის მაქსიმალური ზომა იქნებოდა გამოყენებული“, – განაცხადა ეკა ბესელიამ.

დეპუტატის შეფასებით, მერაბიშვილს გაუმართლა, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში მოხდა მისი საქმის განხილვა:

„ვანო მერაბიშვილმა ისარგებლა იმ სიკეთით, რომელიც ჩვენ განვახორციელეთ, კერძოდ იმ ამნისტიით, რომლის ავტორიც გახლავართ, რომელიც პარლამენტმა მიიღო და რომელსაც ვეტო დაადო სააკაშვილმა. ამ ამნისტიის გამოყენებით მერაბიშვილს სასჯელი შეუმცირდა. მან ისარგებლა ასევე ჩვენი იმ სიკეთითაც, რომლითაც სასჯელის შეკრებითობა გაუქმდა და შთანთქმის პრინციპი დავნერგეთ. ასე რომ არ ყოფილიყო და ის წესი დარჩენილიყო, რომელიც წინა წლებში მოქმედებდა, მერაბიშვილს სასჯელის მაქსიმალური ზომა შეეფარდებოდა. ერთი სიტყვით, ბატონ მერაბიშვილს ძალიან გაუმართლა, რომ იმ პერიოდში მოხდა მისი საქმის განხილვა, როცა სასამართლო არანაირ ზეწოლას არ განიცდის ხელისუფლებისგან და როცა ჩვენ კანონმდებლობა გავაკეთილშობილეთ“, – აღნიშნა დეპუტატმა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## აფრიკაში ქართული ჯარის გაგზავნას აპროტესტებენ

პარტია „თავისუფალ საქართველოში“ მიიჩნევენ, რომ „ქართული ოცნების“ მხრიდან ახალ სამხედრო მისიებში ქვეყნის ჩართვის შესაძლებლობა, ყოვლად გაუმართლებელია.

„საქართველო უკვე წლებია მონაწილეობს საერთაშორისო ანტიტერორისტულ ოპერაციებში და უკვე მრავალი ქართველი შეეწირა ამ ტიპის სამხედრო მოქმედებებს. მიგვაჩნია, რომ, ამ ფონზე, „ქართული ოცნების“ მხრიდან ახალ სამხედრო მისიებში ქვეყნის ჩართვის შესაძლებლობა, ყოვლად გაუმართლებელია. მით უფრო, რომ საქართველოს არ აქვს ამის ვალდებულება არც ერთი პოლიტიკური თუ სამხედრო გაერთიანების წინაშე. ეს გამოიწვევს უცხო მიწაზე, უცხო ინტერესებისთვის დაღუპული ქართველი სამხედროების დამატებით მსხვერპლს, მაშინ, როცა საქართველო ავღანეთის მისიაში ისედაც უმსხვილესი კონტრიბუტორი ქვეყანაა ნატოს არაწევრ ქვეყნებს შორის და ამას რამდენიმე ათეული ქართველი სამხედროს სიცოცხლე შეეწირა“, – ნათქვამია განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## პროფკავშირების ხელმძღვანელობას სასამართლოში უჩივლებენ?



საგანგებო სიტუაციათა სააგენტოს ხელმძღვანელის, თემურ გიორგაძის განცხადებით, მათმა სამსახურმა პროფკავშირების ბრალდებების საპასუხოდ, შესაძლოა, სასამართლოში სარჩელი შეიტანოს. მისი თქმით, საგანგებო სიტუაციათა სააგენტოში პრობლემები მას შემდეგ დაიწყო, რაც წელიწად-ნახევრის წინ სამსახურში დაახლოებით 20-ზე მეტმა ადამიანმა პროფკავშირი ჩამოაყალიბა. „პროფკავშირების გაერთიანება კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმებას ითხოვდა, მაგრამ მხოლოდ 40-მდე პირი იყო თანახმა, ამ კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმებაზე. უარის მიღების შემდეგ პეტრიაშვილმა მე მითხრა, რომ პირადად მე და ჩემს სამსახურს პრობლემები შეექმნებოდა. ასე რომ, ეს პროცესი გუშინ არ დაწყებულა. მიმდინარეობს სამსახურის შეურაცხყოფა, რასაც არავის ვაპატიებთ“, – აღნიშნა გიორგაძემ. (ინტერპრესნიუსი)

## შოთა მურღულია ისევ ქუთაისის მერია



ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე აღდგენილი შოთა მურღულიას განცხადებით, ის იმ საქმიანობას გააგრძელებს, რომელსაც გადაყენებამდე ეწეოდა.

„მე სამართლიანად აღმადგინეს თანამდებობაზე და გავაგრძელებ იმ საქმიანობას, რასაც მანამდე ვაკეთებდი. არ გამოუვიდათ ჩემს ოპონენტებს ის ჩანაფიქრი, რაც სურდათ, ამიტომ სიმართლემ იზეიმა“, – განაცხადა მურღულიამ.

რაც შეეხება ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ლევან კირკიტაძეს, რომელიც ამჟამად საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს, მან უკვე მოაწერა ხელი ბრძანებას, რომლითაც მურღულია თანამდებობაზე აღადგინა.

„საკრებულოს თავმჯდომარეს თამაზ მარგველაშვილს ოფიციალურად შეუჩერდა უფლებამოსილება. მე, როგორც საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, რომელიც ვასრულებ მოვალეობას და ჩემი თანამდებობიდან გამომდინარე, პირველი, რაც გავაკეთე, ეს იყო ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლად შოთა მურღულიას აღდგენა. დიდი იმედი მაქვს, რომ მურღულია წარმატებულად გააგრძელებს საქმიანობას“, – განაცხადა კირკიტაძემ. (ფრონტნიუსი)

# სკანვორდი

ავტორი ლალი ზანდუკელი 2 23-11-28



1. სამთო ინჟინერი
2. ოლონტის სახელი „არ და-იდარ-დო“-ში
3. საცხენოსნო შეჯიბრება დაბრკოლებ. გადალახვაში
4. ახალი ზელანდიის აბორიგენი
5. არქიტექ-ტურული სტილი
6. თალაგვა კოლონ-კელიძის ასული
7. ძვ. ეგვიპტის დედოფალი
8. აბსო-ლუტური სიზუსტე
9. უეცარი შიში
10. ხის ალვირი
11. ოპერა „ჯამბაზების“ ავტორი
12. პიგ-მენტაციის არმქონე ორგანიზმი
13. ზღვისპირა სოფელი ზუგდიდის რაიონში
14. ინგლისელი ფიზიკოსი
15. წელიწადის პირველი თვე
16. წიწვოვანი ტყის ზოლი ციმბირში
17. ორშაბათი – ძველ ქართულში
18. ბოთლში მცხოვრები ზღაპრული არსება
19. ტირიფის სახეობა
20. სამკურნალო მცენარე
21. ჰიდრო-ტექნიკური ნაგებობა
22. მონღოლი დიდებული
23. ინსულინის ნაკლებობით გამოწვეული დაავადება
24. ოქროს ურდოს სარდალი
25. მთის თუთიყუში
26. (ძვ.) სურნელო-ვანი ნივთიერება
27. ჟურნალი მოდის შესახებ
28. ლუკ ბესონის ფილმი „მეხუთე ...“
29. დიდი მუწუკი
30. გუგუას ცოლი „ხევისბერ გოჩაში“
31. მეომრის დამცავი თავსა-ბურავი
32. მზის ამოსვლა
33. თამბაქოს ხმელი ფოთლების ასხმულა
34. ხეობა კასპის რაიონში
35. ცხენის კუდის ბეწვი
36. ძიუდოს დამფუძ-ნებელი
37. მარ-ცვლოვანი მცენარე, იაპონური სორგო
38. საოპერო პარტია
39. ბუდიზმის დამაარ-სებელი
40. ეტალონების ქალაქი საფრან-გეთში
41. ძალიან ნელი ტემპი მუსიკაში
42. ცხენის სხვადას-ხვაგვარი სვლა
43. ერთ-ერთი ნიმფა ბერძნულ მითოლოგ.
44. ხმის მიცემით მიღებული გადაწყვე-ტილება
45. სახოტბო ლექსი
46. თურქული ტელესე-რიალი
47. მოქმედი ვულკანი ალასკაზე
48. მსახიობი დრიუ ...
49. პატარა ტყე მინდორში
50. ვეზირი „სიბრძნე სიცრუისა“-ში
51. თვით-მფრინავის მიერ გავლილი გზა
52. ლოცვის დასკვნითი სიტყვა
53. ლერმონ-ტოვის პოემა
54. კედლის ჭაღი
55. იგივეა, რაც მევახშე
56. სიმინდის ყვავილედი
57. მიმართვა ფრანგი მეფისადმი
58. თეატრის კოლექტივი
59. ქართ. გაზეთი
60. ძალზე პატარა ფრთოსანი მწერი
61. სპეც. ტერიტორია ჩინეთში
62. ყველა-ზე ცივი დასახლება მსოფლიოში
63. გალაკ-ტიონის გემი
64. დო-კუმენტების სარეგის-ტრაციო წიგნი
65. მუს-ლიმანთა წმინდა წიგნი
66. ჯეუჯა კამეჩი
67. დიდი ტიკი
68. აშშ-ის სახელმწიფო მდივანი
69. დაკლული საქონლის შიგნეული
70. ძველ-ბერძენთა გრძელი პერანგი
71. ცხენოსანთა ქვედანაყოფი ძვ.რომის არმიაში
72. ჯადოქარი, მისანი
73. სანელე-ბელი მცენარე
74. ძალიან ბრაზიანი, ანჩხლი
75. პოლონელი ფანტასტი მწერალი
76. სახის კუნთების მოძრაობა
77. კამბოჯის დედაქალაქი
78. კიანუ რივზის კინოროლი „მატრიცაში“
79. ქალაქი რუმინეთში
80. მავრიტანიის დედაქალაქი
81. ყველა-ზე დიდი მტაცებელი ვეშაპი
82. სახოტბო შეძახილი იუდაიზმში
83. მსაჯული იესოს ჯვარცმის დროს
84. მიმართვა გერმანელი მამაკაცისადმი
85. ბერძნული ანბანის ასო
86. მონიტორის ეკრანი
87. თამაში სალტეებით და ჯოხებით
88. რაიმე საბუთის მეორე პირი
89. წვეტიანი ყინული ხეებზე
90. ირლანდიის რესპუბ-ლიკური არმია
91. მავთულის გამოსაყვანი ხელსაწყო
92. აპრილის ძველქართ. სახელწოდ.
93. ორგანი-ზმისათვის აუცილებელი ქიმიური ნივთიერება
94. გრეგორი პეკის კინოროლი
95. მოდერ-ნიზებული ციხე ახალციხეში
96. თანამედროვე ბრაზილიელი მწერალი
97. ქალაქი იაპონიაში
98. ვაზის ჯიშების შემსწავლელი მეცნიერება
99. პატარა სამკუთხედი ალამი
100. (ძვ.) თადარიგი, წესრიგი
101. ქალაქი რაჭაში
102. იაპონური ავტომარკა
103. მუსიკალ. გამის I ნოტი
104. მუქი წითელი ფერის მინერალი
105. ხელოვნების ღმერთი ძველ ეგვიპტეში
106. იაპონელი მწერალი ... აკუტაგავა
107. არტემიდას ტაძრის გადამწველი
108. პირისახის ძვალი
109. კართაგენის ლეგენდარუ-ლი და-მაარსებელი
110. სტეპების წყვილჩლი-ქოსანი ცხოველი
111. ლაბორატო-რიული ჭურჭელი
112. (ძვ.) ცხიმოვანი სიმსივნე
113. ძალ-ღონე, არაქათი
114. სოფელი მესტიის რაიონში
115. ჯუზეპე ვერდის ოპერა
116. სოფელი დუშეთის რაიონში
117. წარსულში ცნობილი იტალიელი ფეხბურთელი
118. ეთიოპიის დედაქალაქი ...-აბება
119. ხოხბის ბარტყი
120. დაუქორ-წინებლობა
121. მიმ-დინარეობა თანამედროვე მუსიკაში
122. იაპონ. იმპერა-ტორთა ტიტული
123. ვაზის დაავადება
124. ქალაქი შიდა ქართლში
125. ავსტრა-ლიური ხვლიკი
126. ჩინურ-იაპონური შაში
127. ენაჩლუნგი
128. პარ-ტიზანული ომის სახელწოდება ესპანეთში
129. წვრილმანი ნივთები ქალების მოხმარები-სათვის
130. ჩაპაევის მეტყვიამ-რფქვევე
131. ფრანგი მწერალი ... კამიუ
132. მსხვილი საბანკო კაპიტალის წარმომად-გენელი
133. ცხენის კისრის ბოლო ნაწილი
134. ცვილის ფიგურების შემქმნელი
135. პაპა ნიკო-ლოზ ნეკრა-სოვის ცნობილ საბავშვო ლექსში
136. თხი-ლამურების მწარმოებელი ფირმა
137. ძველ-ბერძენი პოეტი ქალი
138. წითელი გამონაყარი კან-ზე ოსპისოდენა ლაქების სახით
139. ხსნა-დი ყავის ცნობილი ბრენდი
140. ლიტე-რატურის და ხელოვნების სანიმუშო ნაწარმოებთა ერთობ-ლიობა
141. მთვარის ორბიტის წერტილი, რომელიც ყველაზე ახლოა დედამიწასთან
142. მოჰამედ ალის ნამდვილი გვარი
143. კოლხი მედეას უმცროსი ნახევარძმა
144. დავით სოსლანის ეროვნება
145. დათა თუთაშხი-ას და
146. ერთაოზის სატრფო „შერეულში“
147. მტკნარი წყლის ბუნებრივი საცავი
148. ძვ. ფრანგული ხურდა ფული
149. დაბა-ლი და ფართო დივანი
150. ძვირფასი თვლებით შემკული ყელსაბამი
151. ფართობის ერთეული ინგლისში
152. ზღაპარ „კონკიას“ ავტორი
153. წილი საერთო საქმეში
154. ქართული მხატვრული ფილმი დოჩანაშ-ვილის სცენარით
155. შეძახ. კონცერტზე ნომრის გამეორების მოთხოვნით
156. ფაშისტთა საბრძოლო რაკეტა

პასუხები: 1. მარკშეიდერი; 2. ბენჟამენი; 3. კონკური; 4. მაორი; 5. როკოკო; 6. შორენა; 7. ნეფერტიტი; 8. აკრიბია; 9. ელდა; 10. ალიკაპი; 11. ლეონკავალო; 12. ალბინოსი; 13. ანაკლია; 14. ფარადეი; 15. იანვარი; 16. ტაიგა; 17. მთოვარისა; 18. ჯინი; 19. ოფი; 20. ალოე; 21. რაბი; 22. ნოინი; 23. დიაბეტი; 24. მამაი; 25. კეა; 26. ინანთი; 27. „ვოგი“; 28. ელემენტი; 29. ბმო; 30. ძიძია; 31. მუზარადი; 32. აისი; 33. ავანგი; 34. რკონი; 35. ძუა; 36. ძიგორო კანო; 37. გაოლიანი; 38. არია; 39. ბუდა; 40. სევრი; 41. გრავე; 42. ალური; 43. კალისტო; 44. ვოტუმი; 45. ოდა; 46. „სილა“; 47. ილიამნა; 48. ბერიმორი; 49. ოლე; 50. სედრაქი; 51. რეისი; 52. ამინ; 53. „დემონი“; 54. ბრა; 55. რანტიე; 56. ტარო; 57. სირ; 58. დასი; 59. „ალია“; 60. ქინქლა; 61. აომინი; 62. ოიმიაკონი; 63. დალანდი; 64. რეესტრი; 65. ყურანი; 66. ანოა; 67. რუმბი; 68. კერი; 69. ლივერი; 70. ქიტონი; 71. ალა; 72. მაგი; 73. ილი; 74. ავი; 75. ლემი; 76. მიმიკა; 77. პნომპენი; 78. ნეო; 79. იასი; 80. ნუაკშოტი; 81. კაშალოტი; 82. ოსანა; 83. პილატე; 84. ჰერ; 85. ქსი; 86. დისპლეი; 87. სერსო; 88. ასლი; 89. ლოლუა; 90. ირა; 91. ადიდა; 92. იგრიკა; 93. ვიტამინი; 94. მაკენა; 95. რაბათი; 96. კოელიო; 97. ოიტა; 98. ამპელოგრაფია; 99. ვიმპელი; 100. სარისტა; 101. ონი; 102. „ტოიოტა“; 103. დო; 104. პიროპი; 105. პტაჰი; 106. რიუნოსკე; 107. ჰეროსტრატე; 108. ყბა; 109. დიდონა; 110. საიგა; 111. რეტორტა; 112. თია; 113. ილაჯი; 114. ლატალი; 115. „რიგოლეტო“; 116. ბისო; 117. რივა; 118. ადის; 119. ლაპი; 120. აგამია; 121. სოული; 122. მიკადო; 123. მილდიუ; 124. გორი; 125. მოლოხი; 126. გო; 127. ბლუ; 128. გერილია; 129. გალანტერეა; 130. ანკა; 131. ალბერ; 132. მაგნატი; 133. ნიდაო; 134. ტიუსო; 135. მაზაი; 136. „ატომიკი“; 137. საფო; 138. როზეოლა; 139. „ნესკაფე“; 140. კლასიკა; 141. პერიგეა; 142. კლეი; 143. აფსირტე; 144. ოსი; 145. ელე; 146. მარგალიტა; 147. ტბა; 148. სუ; 149. სოფა; 150. კოლიე; 151. აკრი; 152. პერო; 153. პაი; 154. „ბესამე“; 155. ბის; 156. ფაუ. გამუქებულ უჯრებში იკითხება: ძიგორო კანო.

## ჯარიმების გადაუხდელობის გამო, რუსეთის მოქალაქეს ჯიშიანი ძაღლი წაართვეს



„პირობა კაცს ცოლს ართმევსო“, ხომ გაგიგიათ? ჰოდა, ცოტათი რომ შევცვალოთ ეს გამოთქმა, დაახლოებით ასეთ შედეგს მივიღებთ: ჯარიმების გადაუხდელობა კაცს ცოლსაც ართმევს, სიდედრსაც, მანქანასაც, სახლსაც და თუ აღარაფერი დარჩა წასართმევი, შესაძლოა, ჯიშიანი ძაღლიც კი თან გაიყოლოს.

ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასე მოხდა რუსეთში, კერძოდ კი ქალაქ ომსკში, სადაც ვინმე ვალენტინას, რომლის გვარიც არ ზუსტდება, საგზაო წესების დარღვევისთვის გამოწერილი ჯარიმების გადაუხდელობის გამო, მილიციამ ლაბრადორის ჯიშის ძაღლი ჩამოართვა.

როგორც ირკვევა, საერთო ჯამში, ომსკის საგზაო პოლიციას ვალენტინასთვის 12 საჯარიმო ქვითარი ჰქონია გამოწერილი, თანხის ოდენობამ კი 5 ათასი რუბლი, დაახლოებით 300 ლარი შეადგინა.

მომხდარის გამო, ვალენტინამ ადგილობრივი მილიციის წინააღმდეგ სასამართლოს მიმართა, თუმცა ნაკლებსავარაუდოა, მან საყვარელი ძაღლის დაბრუნება შეძლოს – სასამართლოს რუსეთშიც ხელისუფლება და მილიცია აკონტროლებს და იმიტომ.

*rian.ru*

## ადამიანის სიმსუქნისგან და ოსტეოპოროზისგან გადარჩენა... ლუდს შეუძლია?



– ლუდი ვიტამინების, უჯრედისების, მინერალებისა და ანტიოქსიდანტების ნამდვილი საბადოა, – ირწმუნებიან ლუდის აკადემიის სპეციალისტები.

ძალიან საინტერესოა მათ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები, რომელმაც აჩვენა, რომ გამოკითხულთა 10 პროცენტს ჰგონია, თითქოს, ლუდი ცხიმებს შეიცავს, 13 პროცენტი კი მიიჩნევს, რომ სასმელი ქიმიურ კომპონენტებს შეიცავს. რეალურად ლუდი გაცილებით ნაკლები რაოდენობით კალორიას შეიცავს, ვიდრე სხვა ალკოჰოლური სასმელები. მეტიც, ლუდში შემავალი ნივთიერებები ადამიანს საშუალებას აძლევს შეინარჩუნოს ფორმა და თავი დააღწიოს ოსტეოპოროზს, იმდენად, რამდენადაც, სხვა უამრავ სასარგებლო ნივთიერებასთან ერთად, ბევრისთვის საყვარელი სასმელი დიდი რაოდენობით სილიციუმს შეიცავს, რომელსაც ძვლის მდგრადობის დაცვა შეუძლია.

საინტერესოა იაპონელი მეცნიერების მიგნებაც, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ლუდს ადამიანის ორგანიზმის რადიოაქტიური გამოსხივებისგან დაცვა შეუძლია. კერძოდ, საკმარისია 500 მილიგრამი ლუდი, რომ რენტგენის სხივებისა და წყალბადის იონების ზემოქმედება მთელი 34 პროცენტით შემცირდეს.

*myjane.ru*

## შეჭამე ტარაკანა და რიგში დგომა აღარ მოგიწევს...



რატომ უნდა იდგე რიგში, როცა შეგიძლია, ეს არცთუ სასიამოვნო პროცესი, უბრალოდ... ტარაკნის შეჭმით მოიშორო? სწორედ ასეთი კითხვა დაუსვეს საკუთარ თავს ილინოისის შტატის ყველაზე ცნობილი გასართობი პარკის „სიქს ფლაგს გრეატ ამერიკას“ მესვეურებმა და დამსვენებელთა მომრავლებას ბევრისთვის შემზარავი აქცია მიუძღვნეს – ვინც ცოცხალ მადაგასკარულ ტარაკანს დაღეჭავს (გადაყლაპვა აკრძალულია), მას არც პარკის შესასვლელთან მოუწევს რიგში დგომა და ატრაქციონებზე დაჯდომასაც დიდი ფასდაკლებით შეძლებს.

პარკის ხელმძღვანელობის მტკიცებით, ცოცხალი ტარაკნების ჭამა სრულიად უსაფრთხოა ადამიანის ჯანმრთელობისთვის, თუმცა ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები სიგრილეში დასვენების მსურველებს ურჩევენ, ამ ნაბიჯისგან თავი შეიკავონ, რადგან შესაძლოა, ამას კუჭ-ნაწლავის დაავადებების ან ალერგიის გაჩენა მოჰყვეს.

ასეა თუ ისე, პარკში ურიგოდ მოხვედრისა და ფასდაკლების მიღების მსურველთა რიცხვი მაინც დიდია და ისინი ახლა ტარაკნების შემჭმელთა რიგში იცდიან და გაუსაძლის სიცხეს მარაოს დანიავებით უმკლავდებიან.

*etotupo.ru*

## წონის დაკლება გსურთ? სიგარეტი გადააგდეთ!



– იმისთვის, რათა გახდეთ, აუცილებელია სიგარეტის მოწევაზე უარი თქვათ! – ასეთი მოულოდნელი დასკვნა იტალიელმა მეცნიერებმა გამოიტანეს, რომელიც რადიკალურად ეწინააღმდეგება საზოგადოებაში გავრცელებულ მოსაზრებას, თითქოს, წონის დაკლებაში, პირიქით, სიგარეტის მოწევა თამაშობდეს უდიდეს როლს.

აღსანიშნავია, რომ იტალიელმა სპეციალისტებმა 300 მოხალისე შეამოწმეს და თავიანთი დასკვნაც საკმაოდ ხანგრძლივი კვლევის შემდეგ გაავრცელეს.

კერძოდ, კვლევის პირველ ეტაპზე მეცნიერებმა მოხალისეების წონა და კანის მდგომარეობა შეისწავლეს, შემდეგ კი მათგან სიგარეტის გადაგდება მოითხოვეს ერთბაშად და არა ეტაპობრივად. 1 წლის გასვლის შემდეგ, ექსპერიმენტის მონაწილეებმა კვლავ გაიარეს შემოწმება, რამაც ცხადყო, რომ საგრძნობლად იყო გაუმჯობესებული როგორც მათი კანის მდგომარეობა, ისე წონასთან დაკავშირებული პრობლემებიც.

*medkarta.com*

## ტროლეიბუსების მძღოლების გაფიცვის მიზეზი სექსუმცირესობების რეკლამირება გახდა




რაც არ უნდა დიდი მონდომებით ცდილობდნენ „დემოკრატიის მამები“ ჰომოსექსუალისტების უფლებებისთვის ბრძოლას, რიგით ადამიანებს ასეთ საზიზღრობასთან შეგუება მაინც უჭირთ და სწორედ ამაზე მეტყველებს ლიტვაში დაფიქსირებული შემთხვევა – ლიტვის ქალაქ კაუნასის ტროლეიბუსების მძღოლებს გაფიცვა იმის გამო გამოუცხადებიათ, რომ თურმე, იქაური ხელისუფლების გადაწყვეტილებით, მათ ტრანსპორტზე გეებისა და ლესბოსელების მიმართ ტოლერანტობის მომწოდებელი რეკლამები უნდა გამოკრულიყო.



კერძოდ, ლიტველ ჩინოვნიკებს სურდათ, რომ ტროლეიბუსებზე გამოეკრათ ასეთი შინაარსის ლოზუნგები: „გეებს აქვთ უფლება, პოლიციაში იმუშაონ“, „ლესბოსელებისთვის სკოლაში მუშაობა პრობლემას არ წარმოადგენს“ და ასე შემდეგ.

ლიტველი მძღოლების განმარტებით, მათ არავითარი სურვილი არ აქვთ, რომ ხელისუფლებამ ამ გარყვნილების პროცესში ჩაითრიოს და თუკი გადაწყვეტილების შეცვლა არ მოხდება, ისინი სამსახურს არ დაუბრუნდებიან.

*vesti.ru*

## მოუცლელი ადამიანებისთვის კოფეინის შემცველი საპონი გამოუშვეს



ადამიანებისთვის, რომლებიც დილის შხაპის მიღების შემდეგ ყავის დალევას ველარ ასწრებენ, ამერიკელების გადაწყვეტილებით, სპეციალური საპონი მომზადდა, რომელიც კოფეინს შეიცავს.

მწარმოებლების მტკიცებით, „შაუერ შოკის“ შემცველობაში დამატებული კოფეინი ადამიანის ორგანიზმიდან სისხლში შეღწევას ახერხებს, რაც თავისთავად, იწვევს ზუსტად ისეთივე ეფექტს, როგორსაც ორი ფინჯანი ყავა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ახალი პროდუქტის გამოყენება რეკომენდებული არ არის ბავშვებისთვის და ფეხმძიმე ქალებისთვის.

– საპნის მოხმარების შემდეგ, ადამიანი განიცდის სისხლის წნევის მატებას, პულსის აჩქარებას, ტვინის მუშაობის გააქტიურებას ზუსტად ისე, როგორც ეს ყავის დალევის შემდეგ ხდება, – განმარტავენ ახალი პროდუქტის შემქმნელები.

ერთი ცალი „შაუერ შოკის“ ფასი 12 აშშ დოლარია და მისი გაყიდვები ამერიკაში უკვე დაწყებულია.

*maunfun.ru*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



– ქორწილამდე ცოლთან სექსი გქონდა?

– არა და შენ?

– მე კი, მაგრამ აბა, რა ვიცოდი, შენი ცოლი გახდებოდა?!

*****



პატრული მანქანას აჩერებს:

– მოქალაქე, ნიშანი „60“ დაინახეთ?

– დიახ, დავინახე.

– მაშ, რატომღა მოძრაობდით 100 ლარით სწრაფად?!

*****

– სახლში ვზივარ. უცბად კარზე კაკუნის ხმა გაისმა. გავაღე – მაღალი, სიმპათიური ახალგაზრდა მამაკაცი დგას. მეკითხება, არის თუ არა ჩემი ქმარი სახლში? მე ვპასუხობ, რომ არა. გაიგო თუ არა, მომვარდა, საძინებელში შემათრია და... დღემდე ვერ გამიგია, რა უნდოდა ჩემი ქმრისგან?

*****

ცოლი ქმარს ებუზღუნება:

– ნათურა გამოცვალე!

– თავი დამანებე, რომელი ელექტრიკოსი მნახე?!

– უნიტაზია გაფუჭებული, ის მაინც გააკეთე!

– შემეშვი, რომელი სანტექნიკოსი მნახე?!..

მეორე დღეს ქმარი სახლში დაბრუნდა და ხედავს, ნათურა გამოცვლილია, უნიტაზი შეკეთებული.

– ვინ გააკეთა ეს ყველაფერი?

– ჩვენმა მეზობელმა კოტემ.

– რამდენი გადაუხადე?

– ფული არ გამოურთმევია. მითხრა, ან ჩემთან დაწექი ან მიმღერეო.

– იმედია, უმღერე!

– აბა, რომელი მომღერალი მე მნახე?!?!?!

*****

ქალების 5 მთავარი პრობლემა:

1. მსუქანი ვარ;
2. მახინჯი ვარ;
3. ძალიან პატარა მკერდი მაქვს;
4. არაფერი მაქვს ჩასაცმელი;
5. არ გიყვარვარ.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

## ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას



დედა მარინა ჯიბლაძე, მამა ზორბეგ გურგენიძე, და სოფო გურგენიძე, სიძე ირაკლი ხუციშვილი, დისშვილები ნიკა და ნიტა ხუციშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან რომ ტრაგიკულად გარდაიცვალა

**ზურაბ გურგენიძე**

პანაშვიდი: 20, 21 თებერვალს; მისამართი: ეკა ბეჟანიშვილის „ა“ კორპუსი, მე-2 სადარბაზო; გამოსვენება: შაბათს, 22 თებერვალს, 14 საათზე, წმინდა ბარბარეს ეკლესიიდან (კინოთეატრ „საქართველოს“ გვერდით).



მეუღლე ჭაბუკი, შვილები: დავით და გიორგი კილაძეები, რძლები: ხათუნა ლასარეიშვილი და მაია კახაბრიშვილი, შვილიშვილები: ალექსანდრე, ირაკლი, ნიკა და ლიზიკო კილაძეები, ძმა ავთანდილ გაგნიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**მანანა გაგნიძის**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 16, 17 თებერვალს, 17:00 საათიდან; მისამართი: ჭონქაძის ქ. №12. გამოსვენება: 18 თებერვალს, 14 საათზე, საბურთალოს ძმათა სასაფლაოს ტაძრიდან.

„აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი“ თანაგრძნობას უცხადებს აკადემიკოს გულნარა ჩაფიძესა და მის ოჯახს, შვილიშვილის

**დავით ცხაკაიას**

გარდაცვალების გამო.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## ავსტრიაში მშიშარა ძაღლები ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის კურსს გაივლიან



ამიერიდან, ავსტრიის მოქალაქეებს საშუალება ეძლევათ თავიანთი ოთხფეხა მეგობრები სპეციალურ კურსებზე ჩაწერონ, რათა მშიშარა ძაღლები უფრო თამამ და გაბედულ ცხოველებად იქცნენ.

როგორც ირკვევა, ავსტრიელი კინოლოგების ამ იდეას უკვე საკმაოდ დიდი გამოძახილი მოჰყვა და სპეციალურ კურსებზე მოხვედრის მსურველებს რიგში ჩადგომაც კი უწევთ.

კინოლოგების განმარტებით, ძაღლები, რომლებიც სითამამით არ გამოირჩევიან, თავიანთ აგრესიას პატრონებზე ანთხევენ და სპეცკურსების შემოღება სწორედ ამ მიზეზით გახდა საჭირო.

ზუსტად როგორია ძაღლების ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის კურსის თავისებურება, არ კონკრეტდება, თუმცა ავსტრიელი კინოლოგები ამტკიცებენ, რომ გამოძებნილი აქვთ შესანიშნავი საშუალებები, რომელიც სასურველ შედეგს უმოკლეს დროში იძლევა.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*factroom.ru*

გაზეთი ალია

სამუშაოდ იწვევს სააგენტოების ინფორმაციებზე მუშაობის გამოცდილების მქონე ჟურნალისტს

ტელეფონი: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**18 თებერვალი:** დღეს თქვენი უპირველესი მტერი თქვენივე ემოციები იქნება, ამიტომ მაქსიმალური მობილიზება გმართებთ, რომ რამე სისულელე არ ჩაიდინოთ.

**კურო 22.04-21.05**
**18 თებერვალი:** მაქსიმალური აკურატულობა და წინდახედულება გმართებთ. უყურადღებობა და დაბნეულობა ძვირად დაგიჯდებათ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**18 თებერვალი:** პარტნიორული ურთიერთობები, როგორც საქმიანი, ისე პირადი, უჩვეულოდ მყარი იქნება. დიდი ალბათობით, დროის უდიდეს ნაწილს გართობაში გაატარებთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**18 თებერვალი:** არის ალბათობა, რომ დღეს რაღაცის, ან ვიღაცის მონახულება მოგინდეთ და სადღაც გაემგზავროთ. წინდახედულება გამოიჩინეთ და ყველაფერი კარგად დაგეგმეთ.

**ლომი 23.07-22.08**
**18 თებერვალი:** დღეს რაღაც სურვილი შეგისრულდებათ, თუკი ძალიან მოინდომებთ, იმოქმედებთ და ვიღაცის იმედად არ იქნებით.

**ქალწული 23.08-22.09**
**18 თებერვალი:** დიდი ალბათობით, დაძაბული და აღელვებული იქნებით, მაგრამ თავშეკავება გმართებთ, ემოციებს არ უნდა აჰყვეთ. ეს ადვილი არ არის, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არსებობს.

**სასწორი 23.09-22.10**
**18 თებერვალი:** დღეს გარკვევით გეცოდინებათ, რის მიღება გსურთ და რა უნდა გააკეთოთ. თუკი საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული იქნებით, მიზნის მიღწევა არ გაგიჭირდებათ.

**მორიელი 23.10-21.11**
**18 თებერვალი:** ნებისმიერი ურთიერთობები არა მხოლოდ მსხვერპლს მოითხოვს, არამედ გარკვეული სარგებლის მიღებასაც ითვალისწინებს. თუმცა, დღეს მხოლოდ ვალდებულებების შესრულება მოგიწევთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**18 თებერვალი:** თუ ოდესმე მემუარების წერას დააპირებთ, იცოდეთ, ეს დღე საამისოდ ზედგამოჭრილია.

**თხის რქა 22.12-19.01**
**18 თებერვალი:** დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ, რომ აქტიური მოქმედებები დაიწყოთ. და თუ ეს მოახერხეთ, მთელი დღის მანძილზე უამრავი საქმის მოსწრებას შეძლებთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**18 თებერვალი:** დიდი ალბათობით გაორებულ განწყობაზე იქნებით. ერთი მხრივ, მოდუნება და დასვენება მოგინდებათ, მეორე მხრივ, ვალდებულებები მოსვენებას დაგიკარგავთ.

**თევზები 19.02-20.03**
**18 თებერვალი:** ცხოვრება რთულია, მაგრამ მშვენიერი და ამაში დღეს კიდევ ერთხელ დარწმუნდებით. თუ რამე კითხვები გაქვთ, პასუხებს მალე მიიღებთ.

## ახალ ზელანდიელ ბავშვებს სკოლაში მკვლელობას ასწავლიან?!



არსებობს ქვეყნები, სადაც ისტორიის ან მშობლიური ლიტერატურის ნაცვლად, მტრის მოგერიებას, მკვლელობასა და სისასტიკეს მცირეწლოვან ბავშვებსაც კი ასწავლიან და სწორედ ასეთი ქვეყნების რიგებს მიეკუთვნება ახალი ზელანდიაც, სადაც ამ ცოტა ხნის წინ მართლაც შემაშფოთებელი ფაქტი დაფიქსირდა – ერთ-ერთი სკოლის მასწავლებელმა მოზარდებს მკვლელობისა და ცხედრის მოშორების სრულყოფილი გეგმის შემუშავება დაავალა.

საბედნიეროდ, ჯერ კიდევ არსებობენ ადამიანები, რომლებსაც საღი აზროვნების უნარი არ დაუკარგავთ და როგორც კი ბავშვებმა მშობლებს აღნიშნული დავალების შესრულებაში დახმარება სთხოვეს, ცხადია, პასუხად საშინელი რეაქცია მიიღეს.

რაც ყველაზე უცნაურია, მშობლების ერთმა ნაწილმა არ გაიზიარა აღშფოთებული მხარის პოზიცია და მასწავლებლის მხარე დაიჭირა – ბავშვებმაც აუცილებლად უნდა იცოდნენ, როგორი სასტიკია რეალური ცხოვრებაო.

რა თქმა უნდა, ცხოვრება სასტიკია და ხშირად უსამართლოც, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მცირეწლოვან ბავშვს ვინმესთვის ყელის გამოჭრა ასწავლო.

სასამართლოში მისულმა მასწავლებელმაც და სკოლის დირექტორმაც სწორედ ეს არგუმენტი მოიშველიეს, თუმცა რა განაჩენი გამოიტანა სასამართლომ, სამწუხაროდ, უცნობია, ჩვენ კი ძალიან დიდი იმედი გვაქვს, რომ მასწავლებელსაც და დირექტორსაც პატარებთან მუშაობის უფლება ჩამოერთმეოდათ.

*pronowosti.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



გამოცდა საგზაო მოძრაობის წესებში. გამომცდელი:

– გზაჯვარედინი – აქ თქვენ ხართ, იქ ავტობუსი, აქეთ სატვირთო, იქით მოტოციკლი. რომელი გაივლის პირველი?

– ტაქსისტი.

– რატომ ტაქსისტი?! და საერთოდაც, საიდან გაჩნდა აქ ტაქსისტი?

– ჯანდაბა, ეშმაკმა უწყის, საიდან გამოძვრებიან ხოლმე ეს ტაქსისტები!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

ალია
» 211359457
კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212033 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

ტექნიკური რედაქტორი
ბადრი ქევანიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
21 21 80 ან 233 20 06
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge

® დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.40